# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 29 მარტი 2003 №55 (1826) | ფასი 50 თეთრი


# გაბრაზდით!






ექსკლუზიური ინტერვიუ შვეიცარიის ნაკრების
მთავარ მწვრთნელთან იაკობ კუნთან იხილეთ მეექვსე გვერდზე

## სამყურა ირლანდია ყურის აწევით გვემუქრება

## შვეიცარიას!





# პირველი
# ტაიმი
# გოლი
# ქულა
# იმედი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი.

## საქართველო 1:1 ირლანდია

თბილისი. 28 მარტი. 16 საათი. ეროვნული. 3 500 (ტევადობა 70 900)

1:0 ახალაია (19), 1:1 მანტი (85)

| | |
|---|---|
| საქართველო: მამალაძე, ორბელაძე, ციმაკურიძე, სალუქვაძე, კანდელაკი, ბურნაძე, მანჯგაძე, სირაძე, ახალაია, ასათიანი (სამხარაძე 85), ბობოხიძე (დვალიშვილი 77) სათადარიგონი: ივარდავა, ფურცელაძე, ი. მოდებაძე, გამეზარდაშვილი, ლ. ქელიძე მწვრთნელი: რევაზ არველაძე | ირლანდია: სტაკი, ბრენანი, ტირნი (ბირნი 46), პეისლი, გუდვინი, მილერი, ტორნტონი, ჯ. ტომპსონი (ოკონორი 81), დელი, რიდი, პულაპანი (მანტი 73) სათადარიგონი: ჯ. მერფი, მელიგანი, მ. კინი, უორდი მწვრთნელი: დონ გივენსი |

გაფრთხილება: ორბელაძე (32), რიდი (32), რიდი (32), ციმაკურიძე (86)

გაძევება: რიდი (32)

მსაჯები: იანუშ მედიებორი; ტიბორ დიარმატი, ზოლტან ტომაში; ვიქტორ კასაი (ყველა უნგრეთი)

უეფა-ს დელეგატი: პიტერ ჯოუნსი (ინგლისი)

ჯარიმა: 20-17; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 7-2; კარში დარტყმა: 2-1; თამაშგარე: 3-1

# ტაიმი აუტის მერე

## არველაძემ გუნდს თამაშის გემო გაასინჯა

პაატა კვანტალიანი



რევაზ არველაძე

რევაზ არველაძის ოფიციალურ სადებიუტო მატჩში საქართველოს ახალგაზრდულ-ოლიმპიურმა გუნდმა პირველი გოლი გაიტანა, ირლანდიასთან არ წააგო და პირველი ქულა მიითვალა. მეტიც, ქართველებს მოსაგები ჰქონდათ, მაგრამ ბევრი საგოლე შანსი გაფლანგეს, მამალაძის კარში ერთხელ დამრტყმელმა ირლანდიამ კი მაინც გაათანაბრა. რა იყო ეს, მასპინძლის უიღბლობა თუ სტუმრების ქუდბედიანობა? ეგებ ერთიც და მეორეც, მაგრამ რაც იყო, მაინც არ გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ შედეგი ალოგიკური გამოდგა. არც სტუმართა გუნდი იყო მაინცდამაინც მარჯვენა ფეხზე ამდგარი, მკაცრმა უნგრელმა მსაჯმა ხომ პირველ ტაიმშივე ათი კაცით დატოვა კუნძულელები, თანაც სიფრიფანა იანუშმა მოედნიდან ენდრიუ რიდის დათხოვნით ულიდერო ირლანდია შეატოვა საქართველოს.

ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ არველაძის დებიუტი შედგა, მართალია, ერთტაიმიანი, მაგრამ იმედისმომცემი. საქართველომ იმ ერთ ტაიმში ბევრი რამ აჩვენა ისეთი, რაც ამ გუნდს აქამდე არ ჰქონდა.

დავიწყოთ იმით, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა პირველ ნახევარში გუნდური ფეხბურთი ითამაშეს. ვერც კი გავიხსენებ, ბოლოს როდის ვნახე 45 წუთის განმავლობაში ასეთი დალაგებული, პოზიციურად დახვეწილი და სათამაშო დისციპლინის ფრიადზე შემსრულებელი ქართველები. მასპინძლები ეფექტურნი იყვნენ შეტევაში, ართმევაშიც ყოჩაღობდნენ და სწრაფ ტაქტიკურ გადაადგილებებშიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს. ყოველივე, რალა თქმა უნდა, მწვრთნელის დამსახურებაა. ირლანდიელთა ფონზე საპირველტაიმო საქართველო ბოლო მოდელის დახვეწილ სედანს ჰგავდა, წამითაც რომ არ აძლევდა მეტოქეს წარმოწევის საშუალებას.

საამო საცქერი იყო მალხაზ ასათიანის თამაში. ქართველებს გუშინ გონიერი, დახვეწილი ფეხბურთელი ჰყავდათ კაპიტნად. ასათიანის წამის მეასედში გათვლილი, „თხელი" პასები დახვრეტის ტოლფასი იყო მეტოქისთვის. ამ შეკრებაგაუვლელმა ფეხბურთელმა გუშინდელი თამაშით აჩვენა, რომ მალე მოსკოვური „ლოკომოტივისთვისაც" დიდი ფუფუნება იქნება. თუნდაც ის სამეორეტაიმო ერთი პასი რად ღირს, მსაჯის საჯარიმო სასტვენის შემდეგ ჯერაც ფაციფუცში მყოფ ირლანდიელებში რომ გაუჭრა მალხაზმა ახალაიას. ეს მომენტი გუშინდელი კაპიტნის გონიერებაზე მიუთითებს, ასათიანს ტექნიკა და პოზიციური განსწავლულობაც რომ არ აკლია, ეს მისმა უზადო პასებმაც ცხადყო. აკი პირველ ტაიმში ქართველთა მიერ შექმნილი საგოლე მომენტების 90 პროცენტში ასათიანის ფეხი ერია.

უკრაინაში მართლაც ყოჩაღი ბიჭი გვყოლია — გუშინდელი მატჩის დადებით მხარედ გიორგი ციმაკურიძის განსწავლულობა და საიმედოობაც უნდა გამოვარჩიოთ. ამ მცველმა ტოლი არაფერში დაუდო „ჰაერში მეომარ" ირლანდიელებს, ციმაკურიძე მიწაზეც რიგიანად გაისარჯა და „ეროვნულის" ბუტაფორიულ მოედანზე — მწვანედ გადაღებილ ტალახიან ალაგს რომ ჰგავდა, ჯონათან დელის და ვესლი ჰულაჰანს შანსი არ დაუტოვა.

ბოლომდე შეასრულა მწვრთნელის მითითებები მურთაზ ბურნაძემ. 45-წუთიან საფეხბურთო ჟინს ამ ნახევარმცველმა თავისი მონდომებაც შეაშველა. სწორედ ბურნაძის საჯარიმო პასისას გახსნა ახალაიამ თავით ანგარიში. დინამოელმა შემტევმა ნაყოფიერად იმუშავა პირველ ტაიმში, მაგრამ ბევრი ხელსაყრელი მომენტიც გააცუდა. ახალაია ფიზიკური შესაძლებლობებით სხვებზე უკეთ მეორე ტაიმშიც გამოიყურებოდა, თუმც არ გაუმართლა, განსაკუთრებით ასათიანის ზემოთ ნახსენები საჯარიმო პასისას, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს რომ გადააცილა ბურთი ექვსიოდე მეტრიდან.

არველაძის გუნდმა მეორე ტაიმის დაწყებას ლამის გოლი მიაყოლა. სტუმართა დაბნეულმა მეკარე გრემ სტოკმა ისე იცუნდრუკა, კინაღამ მეორედ გამოილო ბურთი ბადიდან.



ქართველთაგან ყველაზე გამორჩეული მალხაზ ასათიანი იყო

# კიოლნი და აჩიკო დამთავრდა

## ტყუპისცალმა კორეაზე უარი თქვა, დინამოზე არა

**არჩილ არველაძეს** მუხლის ხრტილის გადანერგვის გამო ფაქტობრივად წელიწადი კი გაუცდა, მაგრამ ახლა კიოლნელი ქართველი ჯანზეა — რა ხანია, სრული დატვირთვით ვარჯიშობს და კლუბის მეორე გუნდში თამაშობს.

კონტრაქტი „კიოლნთან" აჩიკოს სეზონის დამთავრების შემდეგ ეწურება და დიდი შანსია, რომ მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „კიოლნი" იმ დროისთვის უკვე ბუნდესლიგელი იყოს. თუმც არველაძე იქ აღარ ითამაშებს...

— ახლახან კლუბის ხელმძღვანელობასთან მქონდა საუბარი. მათ კონტრაქტის გაგრძელებაზე კი ჩამომიგდეს სიტყვა, მაგრამ იმაზე გაცილებით ნაკლები ანაზღაურება შემომთავაზეს, რაც მიმდინარე კონტრაქტით მაქვს — ერთი სიტყვით, „კიოლნიდან" მივდივარ.

**— ამ მოლაპარაკებას შენი აგენტი ივან ბენეში არ ესწრებოდა?**

— როგორ არა. მოლაპარაკებებიდან ერთ საათში მან სამხრეთ კორეის ერთ-ერთ გუნდში გადასვლა გამიხერხა — იქ სეზონი ახლა იწყება და დეკემბერში მთავრდება — კორეელები „კიოლნზე" უკეთეს ანაზღაურებას გამოდიან, მაგრამ ევროპაში თამაში მირჩევნია — კორეა, სხვა რომ არაფერი, ძალიან შორსაა.

**— თბილისის „დინამოში" დაბრუნებაზე უარს იტყოდი?**

— გააჩნია, რას შემომთავაზებენ. „დინამოში" თამაშზე ხელაღებით რატომ უნდა ვთქვა უარი?!

დავით თამართქილაძე

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა XXXVII ტური

ზაარბრიუკენი 1:2 აუგსბურგი

უნტერჰახინგი 2:1 ოფენბახი

### ინგლისი

III დივიზიონი XL ტური

სუონსი 3:2 ოქსფორდი

### საფრანგეთი

II დივიზიონი XXXI ტური

ბოვე 0:2 ნიორი

კაენი 0:0 სენტ ეტიენი

კლერმონი 1:1 ამიენი

კრეტეი 1:1 მეცი

გრენობლი 2:0 გენიონი

ლავალი 3:1 ისტრი

ნანსი 2:1 რეიმსი

ვალანსი 2:2 ლე მანი

ვასკეალი 1:2 ლორიანი

### შოტლანდია

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი

ერდრი 2:0 ბერვიკი

### ამხანაგური მატჩი

იაპონია 2:2 ურუგვაი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

28 მარტი

I ჯგუფი

კვიპროსი 2:0 ისრაელი

საფრანგეთი 2:0 მალტა

II ჯგუფი

ბოსნია 1:0 ლუქსემბურგი

რუმინეთი 0:1 დანია

III ჯგუფი

ჰოლანდია 0:3 ჩეხეთი

IV ჯგუფი

პოლონეთი 3:2 უნგრეთი

V ჯგუფი

გერმანია 1:0 ლიტვა

შოტლანდია 1:0 ისლანდია

VI ჯგუფი

სომხეთი 2:0 ჩრდ. ირლანდია

უკრაინა 0:0 ესპანეთი

VII ჯგუფი

პორტუგალია 4:2 ინგლისი

VIII ჯგუფი

ხორვატია 1:1 ბელგია

IX ჯგუფი

იტალია 1:0 ფინეთი

უელსი 1:0 აზერბაიჯანი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

ერთის გამტან ლადო ახალაიას (№9) სხვა მომენტებიც ჰქონდა

# პრესკონფერენცია

**ნამატჩევს ირლანდიელ ჟურნალისტთა უმრავლესობამ „ეროვნულის" საპრესკონფერენციო დარბაზში შესვლა არ ინება და გუნდების დამრიგებლებმაც ოდენ ქართველი მედიელების კითხვებს უპასუხეს**

### დონ გივენსი

— მატჩის ბოლოს კმაყოფილი კი დავრჩი, მაგრამ მანამდე განბილებული გახლდით მინდვრის საფარით, ჩემი გუნდის თამაშით და მსაჯობით. ქულა გადავარჩინეთ და საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ. მატჩის შედეგი ალბათ ლოგიკური იყო.

— ჩემი ფეხბურთელები თავიანთი კლუბების პირველ გუნდებში არ თამაშობენ. ქართველთა გუნდიდან კი ათი ნომერი (ასათიანი) შესძლებდა ინგლისის პირველი დივიზიონის თუ პრემიერლიგის გუნდებში თამაშს — მან იცის, თუ რა არის ფეხბურთი.



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

### რევაზ არველაძე

— ეს მატჩი ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო და მომავალში უთუოდ გამომადგება. მოედნის ხარისხის შეფასებაში დაგეთანხმებით, მაგრამ მატჩის შედეგი არა მგონია ლოგიკური იყოს. ვთვლი, რომ უპირატესობა იმის ხარჯზე არ გვქონია, რომ კაცნაკლულ მეტოქეს ვეთამაშებოდით — სანამ ირლანდიას ფეხბურთელს გაუძევებდნენ, გოლი იქამდე გავიტანეთ და სახითათო მომენტები მანამდეც შევქმენით. კმაყოფილი ვიქნებოდი, ცუდად რომ გვეთამაშა და სამი ქულა აგვეღო, მაგრამ რა გაეწყობა. თუმცა ის კი მოვიმკეთ, რომ ადრინდელთან შედარებით მაყურებლისგან ოდნავ მეტი ტაში დავიმსახურეთ.

— ქართულ გუნდებს სულ იმას საყვედურობენ, რომ არ ინდომებენ, არ მოძრაობენ, უსულგულოდ თამაშობენ — ვფიქრობ, ეს დღევანდელ მატჩზე არ ითქმის. თანაც ხომ იცით, რა პირობებში ვემზადებოდით — ცოცხით თუ აქანდაზით ხელში გვიწევდა დათოვლილი მოედნის გაწმენდა — ხუთი დღე მხოლოდ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვვარჯიშობდით და მერე უცებ სულ სხვა გრუნტზე ვითამაშეთ.

— შვეიცარიასთან მატჩისთვის თუ ამინდმა შეგვიწყო ხელი, „მევარდენის" სტადიონზე მოვემზადებით.

— დაცვაში ერთხელ დავრჩით მეტოქესთან 3:3-ზე და გოლიც გავუშვით — მეტი ყურადღება და კონცენტრაცია გვმართებდა.

— შესაძლოა, შეცვლებში შევცდით. გვინდოდა, ბობოხიძისთვის და ასათიანისთვის ამოსუნთქვის საშუალება მიგვეცა.

— დროის იმ მონაკვეთში, როცა ბურთი გავუშვით, უბრალოდ ჩავთვლიმეთ, თორემ მოედნის ცენტრი არ დაგვიკარგავს.

ამ მომენტიდან თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული და ქართველებს ძალა გამოეცალათ ათკაციან მეტოქესთან ბრძოლაში. მასპინძლებს ფიზიკურმა კონდიციებმა უმტყუნეს და ამ გუნდურ დაღლას მწვრთნელებმაც ვერაფერი უშველეს. არადა, წინ მთელი ნახევარი საათი იყო სათამაშო, მაგრამ არველაძის გუნდი 10-კაციან მეტოქესთან ბოლომდე საბრძოლველად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

მწვრთნელებს შეცვლებიც დაუგვიანდათ — „ფიურტის" სარეზერვო დეკანოსიძეს და დინამოელ სამხარაძეს არაფერი შეუცვლიათ და ვერც შეცვლიდნენ, რადგან გუნდი ინერციით მიდიოდა საფინალო სასტვენამდე — დაღლა იყო იმის მიზეზი, რომ კაცნაკლულ მეტოქესთან ქართველებმა შედეგის შენარჩუნებაზე იწყეს ფიქრი — ეს ტაქტიკური შეცდომაც იყო. ელემენტარულად ამ ხარვეზის აღმოფხვრა ნაწილობრივ დროული შეცვლებითაც შესაძლებელი გახლდათ.

„სამყურათა" თავკაცმა დონ გივენსმა კი, ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამიდან გაათანაბრა. ალღოიანმა მწვრთნელმა დროულად ჩართო თამაშში კევინ ოკონორი და ნოელ ჰანტი. ამ უკანასკნელმა სწორედ ოკონორის პასით გაუტანა დაბნეულ ზურაბ მამალაძეს... ერთი სიტყვით, მატჩი დასრულდა ფრედ და ნამატჩევს დაგვრჩა იმედი, რომ ახალი მწვრთნელი სამომავლოდ გუნდს 90 წუთსაც ათამაშებს დახვეწილად.

ათკაციანი ირლანდია კი საფინალო სასტვენის შემდეგ 15 წუთს კიდევ შემორჩა მოედანს, ჯანიანი ბიჭები მსუბუქად აძუნძულა გივენსმა, მერე კი მოწყენილმა უპასუხა თანამემამულე ჟურნალისტთა შეკითხვებს. გივენსს ერჩივნა დღეს მის გუნდს რუსთაველის პროსპექტზე საათნახევრიანი ექსკურსიის მსგავსად მოედანზეც უპრობლემოდ ესეირნათ, მაგრამ ქართველებმა სწავლა დაიწყეს, ძალიანაც კარგი, პირველი კონსპექტი აქვს არველაძეს — 45 წუთი ირლანდიასთან.

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

**ალბანეთი — რუსეთი**

*დღეს გაიმართება*

# მატჩის შემდეგ

***დავით სირაძე:*** ძალიან კი ვეცადეთ, რომ მოგვეგო, მომენტებიც საკმარისად შევქმენით, მაგრამაც ვიბრძოლეთ, მაგრამ სამწუხაროდ, უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ. მაინც კმაყოფილი ვარ, ჩვენი თამაშით ვისიამოვნე.

***გიორგი დეკანოსიძე:*** ალბათ, კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ბევრი მომენტები შევქმენით და სულ ცოტა, მეორე გოლიც უნდა შეგვეგდო. სამწუხაროდ, მატჩის ბოლოსკენ ყურადღება მოვადუნეთ, ირლანდიელთა კონტრშეტევა გაგვეპარა და დასანანი გოლი გავუშვით.

***გიორგი ციმაკურიძე:*** შედეგი უსამართლოდ მიმაჩნია. ირლანდიას ერთი მომენტი ჰქონდა და ისიც გოლად აქცია. რომ მოგვეგო, ძალიან გამიხარდებოდა, ახლა კი კმაყოფილი მხოლოდ ჩვენი კარგი თამაშით ვარ. ალბათ დამეთანხმებით, ურიგოდ არ გვითამაშია. ირლანდიელებს ვერ მოვუგეთ, მაგრამ იმედი მაქვს, შვეიცარიელებს ვაჯობებთ, ჩვენს გუნდს პოტენციალი აშკარად აქვს.

***მალხაზ ასათიანი:*** ახლაც არ ვიცი, რატომ გავუშვით გოლი. ალბათ, ბოლოსკენ მოვეშვით, მეტოქეც მოგვაწვა და უპატიებელი შეცდომა არ გვაპატია. ბიჭებმა მოსაგებად ყველაფერი გავიღეთ, ნორმალურად ვითამაშეთ, მომენტებიც ბლომად შევქმენით. დასანანია, რომ ათკაციან ირლანდიასთან უეჭველი მოგება გაუშვით ხელიდან. მოკლედ, საჭირო ქულები დავკარგეთ.

***შონ ტორნტონი***

— ათნი დავრჩით და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ორი წაგება გვქონდა და მესამე ჯერზე ასეთ პირობებში ფრეს მივაღწიეთ.

**— ესე იგი კმაყოფილი ხართ?**

— შეიძლება ითქვას, რომ კი. მეტოქე ძალიან მჭიდროდ გვეთამაშა. გულშემატკივარიც ალბათ ნასიამოვნები დარჩა.

**— საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე უფრო რომელი ფეხბურთელი მოგეწონათ?**

— მეათე ნომერმა გვარიანად გაგვაწვალა.

**— გოლი თქვენი ჩაწოლების შემდეგ გავიდა...**

— ამაში განსაკუთრებული არაფერია — ჩვეულებრივი ჩაწოლება იყო.



მურაზ ლორთქიფანიძის ფოტო

ათკაციანმა ირლანდიამ ქართველებს მაინც გაუტანა

**ირლანდია მარიოტში**

# კერმა ირლანდია კუთხეში დააყენა

## კელტებმა ჰოლანდ-ჰოლანდი დააძრეს



**სასტუმრო „მარიოტში"** დაბანაკებულმა ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან კერმა გუშინ იქვე პრესკონფერენცია გამართა. ბევრი ლაპარაკი, კითხვა-პასუხი არ ყოფილა. ირლანდიელ ჟურნალისტებს, 30-მდე რომ შეკრებილიყვნენ სასტუმროს დარბაზში, კერისგან თბილისში წამოსვლის წინ მიუღიათ საჭირო ინფორმაცია და ჩამოსულებს დიდად არც თავი შეუწუხებიათ და არც მწვრთნელი. კერი უხასიათოდ იყოო, ვერ ვიტყვით, პასუხებისას იღიმოდა და როგორც ხდება ხოლმე, ზოგადი ფრაზებით იფარგლებოდა. მწვრთნელს გვერდს კენი კანინგემი უმშვენებდა, თუმც ისეთი გამომეტყველებით, რაიმეს კითხვა მოგერიდებოდა. ფეხბურთელმა ხმა ბოლოსკენ ამოიღო და სულ ერთი წინადადება თქვა — ხვალ ძნელი გამოცდა გველის. შესუსტებული შემადგენლობით თამაში გაგვიჭირდება, მაგრამ მოსაგებად თავს არ დავზოგავთ. იქამდე კი ბრაიან კერმა ილაპარაკა.

— შესარჩევ ჯგუფში შექმნილი ვითარება გვავალდებულებს, რომ ორივე უახლოესი მატჩი მოვიგოთ. ჩვენ კუთხეში ვართ მიყენებულნი და სხვა გზა არ გვაქვს. ვწუხვარ, რომ ასეთ პრინციპულ მატჩებს საუკეთესო შემადგენლობით ვერ ჩავატარებთ. ისე კი, ჩათვალეთ, ვინც ახლა თბილისშია, ყველა ჯანმრთელადაა და კარგ ფორმაშია. ისინი მიზნის მისაღწევად თავს არ დაზოგავენ.

...თქვენ კიდევ გჯერათ, რომ რობი კინი შემოგვიერთდება? პირადად მე ამის იმედი აღარ მაქვს. მისი პრობლემები ჩვენთვის კარგად გასაგებია.

...შოტლანდიასთან გუნდის კაპიტანი მეტ ჰოლანდი იყო. ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, სულით — ლიდერი, გუნდის გაძღოლა სწორედ მისი საქმეა და სამკლავური თბილისშიც მისი იქნება. გამოცდილია და ყველა პოზიციაზე თამაშით შეუძლია გუნდისთვის სარგებლის მოტანა. ხვალ ჰოლანდმა, ვფიქრობ, შეტევაში მეტი დრო უნდა გაატაროს.

...ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე არჩევანი გვაქვს, რამდენიმე ფეხბურთელს თანაბარი ძალით შეუძლია ამ პოზიციაზე თამაში. საბოლოო გადაწყვეტილებას ხვალ დილით მივიღებ.

...გადაჭარბებულია ნათქვამი, თითქოს მეკარე შეი გივენი სასურველ ფორმაში არ არის. მე მის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. ის უმაღლესი კლასის მეკარეა.

...ირლანდიის ნაკრებს თბილისში თამაშის არ ეშინია და ვიმეორებ, საქართველოსთან და ალბანეთთან ექვსი ქულის მოპოვება გვჭირდება... ცუდ შედეგად არც ოთხ ქულას ჩავთვლით.

...ქართულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ურთულესი მატჩი იქნება. ქართულ ფეხბურთზე ჩემი წარმოდგენა ერთ და ორ წელიწადს არ ემყარება. კარგა ხანია, შევისწავლე მეტოქის თამაში. საქართველოს ნაკრების ბირთვს რამდენიმე წელიწადია, ერთი და იგივე ფეხბურთელები შეადგენენ, თანაც საკმაოდ კარგი ფეხბურთელები.

**კობა ინასარიძე**



# ირლანდიამ ჯერ იღადავა, მერე დახურა

**ირლანდია ლოკომოტივზე**

**ორი საათი** ჯერ არ შესრულებულიყო, ირლანდიის ეროვნული ნაკრები „ლოკომოტივის" სტადიონს რომ მოადგა. ერთნაირ სავარჯიშო ფორმებში გამოწყობილმა კელტებმა ავტობუსიდან პირდაპირ მინდორზე შედგეს ფეხი და ათიოდ წუთის განმავლობაში იქაურობა სიცილით ლამის აიკლეს.

ფეხბურთელებმა ბურთები სათითაოდ მოიგდეს ფეხთ და ჟონგლიორობით გაერთნენ. მხოლოდ მეკარეთა მწვრთნელმა დატვირთა თავიდანვე შეი გივენი და ორი სათადარიგო მეკარე.

მალე მოედანზე მთავარი მწვრთნელი ბრაიან კერიც გამოჩნდა. ირლანდიელთა თავკაცმა დაკვირვებით გაიარ-გამოიარა, აქა-იქ შეჯგუფებულ შეგირდებს რაღაც გადაულაპარაკა და მერე მოედნის ცენტრში „საერთო კრება" ჩაატარა. ფეხბურთელები თავდახრილნი უსმენდნენ მწვრთნელის დარიგებებს. ბრაიან კერის ხმადაბალი, მაგრამ მკაცრი საუბარი მხოლოდ ხუთიოდ წუთს გაგრძელდა.

მერე მწვრთნელმა შეგირდებს ცოტა ხანი კიდევ მისცა სალაღობულოდ. ამაში კი განსაკუთრებით მანჩესტერელი ჯონ ოში გამოირჩეოდა. სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდი თანაგუნდელებს წამდაუწუმ ეხუმრებოდა და სახიდან ღიმილი არ შორდებოდა.

ამის შემდეგ ძალაუფლება ხელში ბრაიან კერის თანაშემწემ ჩაიგდო. ფეხბურთელებმაც საქმეს უმალ მოჰკიდეს ხელი და უკვე მთელი სერიოზულობით ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებებს. ფეხბურთელები ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ სავარჯიშო ილეთებს.

ნაკრების წევრებს რობი კინის ჩამოუსვლელობის გამო უხასიათობა მაინცდამაინც არ ემჩნეოდათ. ეგ არის, ირლანდიელი ჟურნალისტები წუწუნებდნენ, ეს რა კაცი დაგვაკლდაო.

ვარჯიშის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ კი ბრიტანელთა მოთხოვნით სტადიონი ჟურნალისტთან-გულშემატკივრიანად ყველამ დატოვა — წვრთნა დახურულად გამოცხადდა. ვაკეში მისული ასიოდე ქომაგი და რამდენიმე ათეული სტუმარ-მასპინძელი ჟურნალისტი „ლოკომოტივის" სარბიელს გაშორდა. ამის შემდეგ ირლანდიის ნაკრებმა კიდევ 45 წუთი ივარჯიშა. მერე ყველამ სასტუმრო „მარიოტს" მიაშურა.

ნანახმა 30-ოდე წუთმა ასეთი შთაბეჭდილება დაგვიტოვა: მიუხედავად რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის არყოლისა, ირლანდიის ნაკრები მაინც ხოლიდურად გამოიყურება. ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარჯიშზე გამოჩნდა. დანარჩენს და თანაც მთავარს ხვალ ვნახავთ...

**ბაჩა შალამბერიძე**



შეი გივენი



ჯონ ოში



ვაჟა [illegible] ფოტოები

# თბილისში არ ეძებოთ ქალი

## გარისკეთ მაისურის გახდა და იყავით ლარივით მყარი

*გუშინწინ საღამოს შევხვდით ჩვენს მეგობარს, ირლანდიელთა დელეგაციას ჩამოყოლილ „ირიშ ინდეპენდიენტის“ კორესპონდენტ ჯერი მაკდერმოტს. გუშინდელ „ინდეპენდიენტში“ კი მისი პირველი თბილისური რეპორტაჟი დაიბეჭდა, რომელშიც ჟურნალისტი თბილისს და თბილისელებს მეტწილად ირლანდიაშივე შეკრებილი ცნობებით აღწერს. რა დაინახა სწორად ირლანდიელმა და რა არა, თავად განსაჯეთ*

**ჯერი მაკდერმოტი**

**Irish Independent**

**თბილისში** ჩასულ ბრაიან კერის მწვანე არმიას ჩაყოლილ მცირერიცხოვან ირლანდიელ ფანებს ერთი ძალიან კარგი ამბავი დახვდათ: საქართველოში არ არის საფეხბურთო ხულიგნობისა და რასიზმის კულტურა. ეს სასიამოვნო ცნობა საგანგებო ბუკლეტში ამოვიკითხეთ, რომელიც თვითმფრინავში დაგვირიგეს და ხუთსაათიანი ფრენისას მისი კითხვით ვიქცევდით თავს. ამ ხუთ საათში დუბლინიდან თბილისამდე 2500 მილი გავიარეთ.

თუმცა ჩვენი ფანებისთვის ცუდი ამბავიც გვაქვს. იმავე ბუკლეტში ამოვიკითხეთ, რომ მართალია, ქართველები მშვიდობიანი და სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ ირლანდიელების ქცევა თუ არ მოეწონათ, შესაძლოა, ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდეს. ამიტომ ფანებს ურჩევენ, გამომწვევი საქციელით იქაურები არ გაალიზიანონ და ადგილობრივ ქცევის ნორმებს პატივი სცენ.

სხვა კავკასიელი ხალხების მსგავსად, ქართველები ძალიან ამაყები არიან და უპატივცემულობას არ პატიობენ — წერია ბუკლეტში და ცუდი ქცევის მაგალითია მოყვანილი: თუ ირლანდიელი ფანი სადმე ბარში შევა, შეთვრება და მაისურის გახდას მოინდომებს, ჩხუბი არ ასცდება და ეს კიდევ არაფერი, შეიძლება ვინმემ იარაღიც ამოიღოს. თურმე საქართველოში იარაღით სიარული ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

ჩვენი ძმაკები ქალებთან ურთიერთობაშიც ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ. თუ ქუჩაში ქართველი ქალის გაცნობა დააპირეთ და აედევნეთ, ვინმე ქალისთვისაც უცნობი გამვლელი მოგიახლოვდებათ და საქმეს გაგირჩევთ. სხვისი არ ვიცი და, ჟურნალისტებმა ეს რომ წავიკითხეთ, გადავწყვიტეთ, თვალებზე ხელაფარებულებმა ვიაროთ და ქალებს ახლოს არ გავეკაროთ.

ისე, საქართველოში ირლანდიელებიც ცხოვრობენ. აქაურ ენერგოსისტემას ირლანდიური კომპანია ESB მართავს. ქართულ ენერგოსისტემაში 40 ათასი კაცი მუშაობს და მათ რამდენიმე ირლანდიელი ხელმძღვანელობს. მათ ჯერაც ბევრი აქვთ გასაკეთებელი. შარშან 12 ოქტომბერს საქართველო — რუსეთის შეხვედრისას პირველი ტაიმის მერე შუქი ჩაქრა და თამაში ჩაიშალა. ახლაც ნახევარი ქალაქი ჩაბნელებულია. ირლანდიური კომპანია ქართულ სპორტსაც ეხმარება. ივნისში ირლანდიაში ინვალიდთა მსოფლიო თამაშები გაიმართება და ESB საქართველოს გუნდის სპონსორი იქნება. ქართველი ინვალიდი სპორტსმენები კი საქართველო — ირლანდიის მატჩის გახსნაშიც მიიღებენ მონაწილეობას.

ქართველების ეროვნულ ვალუტას ლარი ჰქვია და ძალიან მყარი კურსი აქვს. ორ ლარში ერთ ევროს იძლევიან. სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, სადაც ჟურნალისტები დავბინავდით, 100 დოლარი გადავახურდავე და 212 ლარი მომცეს, სასტუმრო თანამედროვე სტილისაა და ძალიან კარგია, თუმცა აჯობებდა, მის წინ უკეთესი ხედი ყოფილიყო.

თბილისზე ჯერჯერობით მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან სასტუმროში რომ მოვედით, ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათი იყო. დაღლილი ვიყავი და თან უკვე ბნელოდა. ქალების ქომაგ ქართველ ბიჭებს მოვერიდე და ქალაქში ხეტიალი არ დამიწყია.


ერიდეთ ქართველ ქალებს და აირიდებთ შარს — ურჩიეს ირლანდიელებს

თბილისში ცივა, თუმცა უარესს ამინდს ველოდით. დუბლინიდან გამომგზავრების წინ გვითხრეს, რომ იქ თოვლი დევს, ტემპერატურა კი მინუს ექვსი გრადუსია. სინამდვილეში დაითოვლილი მხოლოდ მთებია, ტემპერატურა კი პლუს ექვსი გრადუსია.

ბოლოს ცოტათი გაგახალისებთ და ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ერთ ფეხბურთელს, გვარს არ დავასახელებ, ორ ფრაზას გაგაცნობთ.

პირველი: „სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, სად ჩამოვედით“.

მეორე: „მითხრეს, რომ აქედან ბაღდადამდე 500 მილია. ჯობდა, არ ეთქვათ, ახლა მთელი ღამე თვალს ვერ მოვხუჭავ.“

*საათი და ათი წუთი ივარჯიშა „ლოკომოტივზე“ ეროვნულმა გუნდმა და გუშინდელი წვრთნის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძის ნაკრებმა საირლანდიო სამზადისი დაასრულა*

# ჩივაძემ ირლანდიას მურთაზ შტირლიცი და ოთარ კლოსი მიუჩინა



**ნაკრებმა** მთელი დრო გახურებას და ორკარას თამაშს დაუთმო. მერე ჩივაძემ ნაჩქარევად შეკრიბა შეგირდები, ავტობუსში ალალა და მწვრთნელ-ფეხბურთელებმა დილმისკენ გასწიეს. ისე გაეცალნენ „ლოკომოტივს“, ახალი არც არაფერი გაუკეთებიათ და უთქვამთ.

ბოლო ვარჯიში გამოტოვა შოთა არველაძემ. ეროვნული გუნდის ფორვარდი ვაკურ სარბიელზე საერთოდ არ გამოჩენილა. მწვრთნელების თქმით, შოთა დიღმის ბაზაზე დარჩა, სადაც ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად ტრენაჟორებზე წაივარჯიშებდა.

კიდევ რა მოხდა „ლოკომოტივზე“ საინტერესო და მნიშვნელოვანი? რა და, ირლანდიამ შუადღისას ბურთი გააგორა ვაკურ სარბიელზე „სამყურების“ თავკაცმა ბრაიან კერმა დახურული წვრთნა გამოაცხადა. თითქოს ყველა შინაური დაითხოვეს „ლოკომოტივიდან“, თუმც ჩივაძის თანაშემწეებმა — ოთარ გაბელიამ და მურთაზ ხურცილავამ რაღაც ხერხებით ირლანდიელთა მთელი ვარჯიში ნახეს.

ერთ მომენტში სტუმართა წარმომადგენელს სამთავრობო ლოჟაში მოკალათებული „ლოტოს“ ფორმიანი ჩვენებური მწვრთნელებისთვის თვალი მოუკრავს, ერთი ამბავიც აუტეხია, მაგრამ გაბელიას და ხურცილავას ადგილი მოუნაცვლებიათ და, როგორც გავიგეთ, მზვერაობაც გაუგრძელებიათ.

გუშინ „ლოკომოტივზე“ გათბობის სისტემა მოსინჯეს, მაგრამ რომელიღაც მილმა სიმხურვალეს ვერ გაუძლო და გასახდელებს შორის დარჩენილი თავისუფალი ალაგი, აღმოსავლეთის ფოიეს რომ უწოდებენ, ცხელმა წყალმა დაალბო. ნაკრების ვარჯიში რომ გახურდა, „ლოკომოტივის“ პერსონალი მაშინღა მორჩა იქაურობის მომშრალებას.

ეროვნული გუნდის ვარჯიშისას, იქვე სტადიონის მუშებს ჩაქუჩები მოემარჯვებინათ და სარეკლამო დაფებს ურახუნებდნენ. წვრთნის დასრულებისას მოედნის ნახევარზე საქმე მოთავრებული იყო.

სათამაშო მოედანს კი ორდღიანმა დარმა სულზე მიუსწრო. კარგი დრენაჟის წყალობით მინდორმა წყალი გაიწოვა და გვარიანადაც გამოშრა. მისი ხარისხისთვის გუშინ არც ირლანდიელთა და არც ქართველთა წვრთნას დაუკლია რამე. მართალია, „ლოკომოტივის“ მოედანი იდეალურისგან ძალიან შორსაა, თუმც საღღეისოდ დედაქალაქში უკეთესიც არ მოიძებნება და სტუმარ-მასპინძელი რაც არის, იმით უნდა დაკმაყოფილდეს.

მართალია, კავკასიონზე გაწყვეტილი დენის ხაზი აღადგინეს, თელასის აბობოქრებული თავკაცი იგნასიო ირიბარენიც დამშვიდდა და საღღეისოდ დედაქალაქს შუქი შედარებით სტაბილურად მიეწოდება, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი ამბავია — საქართველო — ირლანდიის „ლოკომოტივზე“ დამონტაჟებული ახალთახალი გენერატორებით გაანათებენ.

**მამუკა ძვანტალიანი**



# ითამაშებს დღეს არველაძე?




**ვკითხეთ გუშინ** ეროვნული გუნდის ექიმ დიმიტრი ზაალიშვილს.

ნაკრების დასტაქარმა გვითხრა, რომ შოთას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ამიტომაც ასტკივდა გუშინწინდელ ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი.

გუშინ კი შოთამ ოღონდ ინდივიდუალურად, მსუბუქად ივარჯიშა დიღმის ბაზის მინდორზე და კუნთები ტრენაჟორებზეც გაავარჯიშა — რეინჯერსელი ქართველი ტკივილს აღარ შეუწუხებია, მაგრამ საერთო გადაწყვეტილებით, გუნდთან ერთად ვარჯიშს განერიდა — არველაძეს გუშინ ფიზიო და მანუალური თერაპია ჩაუტარდა.

კუნთის ასეთი დაზიანების დროს ტკივილგამაყუჩებლებით თამაში შეიძლება? ზაალიშვილმა ამაზე გვიპასუხა, რომ ასეთი რამ დასაშვებია, მაგრამ ეს საჭირო გახდება თუ არა, გადასაწყვეტია.

— ყველაფერი თამაშის დღეს, დილით გაირკვევა. გადაჭრით ძნელი სათქმელია, შოთა არველაძე ითამაშებს თუ არა. ვფიქრობ, რომ ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს და ფეხბურთელს გამაყუჩებლები არ დასჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

# იაკობ კუნს არც ჩივაძის ეშინია, არც სადამ ჰუსეინის

## თავდაჯერებული შვეიცარია მოსაგებად მოდის, თუმც ფრეზეც ყაბულსაა

*სტუმრიანობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა — ორშაბათს ირლანდიელები საალბანეთოდ რომ აიყრებიან, თბილისში შვეიცარიელები ჩამოვლენ. ჰოდა, საქმეც ისაა, ირლანდიას როგორ ხასიათზე გავაცილებთ და შვეიცარიელებს რა ხასიათზე დავხვდებით.*

*ალექსანდრე ჩივაძისა და ბრაიან კერის ხასიათის ამბავი დღეს საღამოს გაირკვევა, შვეიცარიელთა მწვრთნელ იაკობ კუნს კი რა უჭირს, მისი ნაკრები ჯერჯერობით ჯგუფის ლიდერია და გუშინ ინტერვიუსთვის რომ შევეხმიანეთ, საკმაოდ თავდაჯერებულადაც გველაპარაკა. აშკარაა, კუნი თბილისში კარგ ხასიათზე ჩამოვა და თუ რამე ცოტათი მაინც შეაფიქრიანებს, სადღეისო მატჩებში რუსებისა და ქართველების გამარჯვება იქნება*




**— სამი ტურის შემდეგ შვეიცარია ჯგუფის ლიდერია, გულახდილად გვითხარით, ელოდით ასეთ წარმატებულ დასაწყისს?**

— შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ვიცოდი, რომ კარგი გუნდი მყავდა, დარწმუნებული ვიყავი, სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა შეგვეძლო. თანაც ნუ დაივიწყებთ, ჩვენ კენჭისყრისას მესამე კალათაში მოვხვდით, ჯგუფის უდავო ფავორიტებად კი ყველა ირლანდიასა და რუსეთს თვლიდა. გულახდილად გეუბნებით, მიუხედავად ჯგუფის ძლიერი შემადგენლობისა, ველოდი პირველობას. თუმც ევროპის ჩემპიონატზე თამაშისგან ჯერ შორს ვართ, გადამწყვეტი ბრძოლები წინ გვაქვს.

**— როგორც უნდა იყოს, დღესდღეობით ჯგუფს შვეიცარია და რუსეთი ლიდერობენ. როგორ ფიქრობთ, საპირველადგილო დავაში ჩარევა რეალურად კიდევ რომელ გუნდს შეუძლია?**

— საქართველოს. ქართველებს ხომ ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი აქვთ ჩატარებული, ჩვენ კი — სამი. თუ საქართველომ უახლოეს სამ საშინაო მატჩში ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, პირველი ადგილისთვის ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად ჩაითვლება. ნაადრევია ირლანდიის ჩამოწერაც. მათ, ფაქტობრივად, იგივე გუნდი ჰყავთ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. ირლანდიელების ამჟამინდელ შემადგენლობაში უმნიშვნელო ცვლილებებია. ქართველებს მათთან ძალიან გაუჭირდებათ.

**— ეგ ცხადია, მაგრამ, მოდით, ახლა საქართველო — შვეიცარიის ოთხშაბათის მატჩზე ვთქვათ. თქვენ ჯგუფს ლიდერობთ, თბილისში ფრე დაგაკმაყოფილებთ?**

— შვეიცარია საქართველოსთან და, რა თქმა უნდა, სხვა გუნდთანაც მოსაგებად ითამაშებს. თბილისშიც სწორედ ამიტომ მოვემგზავრებით, თუმც პირდაპირ გეტყვით, ჩვენთვის ფრეც კარგი შედეგი იქნება. ვეცდებით, საქართველოსთან არ წავაგოთ.

**— საქართველო — ირლანდიას თქვენი წარმომადგენლები დაესწრებიან?**

— აუცილებლად. ისინი საჭირო ინფორმაციას დამარხვედრებენ.

**— შევიტყვეთ, ქართველებთან მატჩისთვის საუკეთესო შემადგენლობის გამოძახება ვერ მოახერხეთ.**

— დიახ, ლივერპულელი ანშო და „ვერდერის" ნახევარმცველი მანინი ტრავმირებულნი არიან, მათი არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება.

**— ფურნიე, კელერი და შტილიც დაგაკლდებიან...**

— კი, მაგრამ ანშო და მანინი ჩვენთვის უფრო მეტს ნიშნავს.

**— ხუთი წამყვანი ფეხბურთელი გამოგაკლდათ. ვიფიქროთ, რომ თბილისში მოსალოდნელზე მეტად გაგიჭირდებათ?**

— გეთანხმებით, მაგრამ ვიცი, რომ არც საქართველო დაგვხვდება უძლიერესი შემადგენლობით — კალაძეც ხომ დაშავებულია. ის კი თქვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. იცით, როცა რაიმე წარმატებაზე ფიქრობ, ნებისმიერი სიტუაციიდან უნდა ნახო გამოსავალი. ყოველთვის უნდა ითვალისწინებდე, რომ შესაძლოა, მოულოდნელად ვინმე დაგაკლდეს და მისი სრულფასოვანი შემცვლელი გყავდეს.

**— თქვენ გყავთ ამ ხუთი ფეხბურთელის სრულფასოვანი შემცვლელები?**

— გვყავს და მათი იმედი გვაქვს.

**— ბოლო ხანს შვეიცარიული ფეხბურთის პროგრესი უმთავრესად რამ განაპირობა?**

— ახალგაზრდულმა ფეხბურთმა. ჩვენ ახალგაზრდებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. სათამაშოდ ყველა პირობას ვუქმნით და ყველა ხედავს, როგორი წარმატებებიც გვაქვს: 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, 21-წლამდელებმა კი მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწიეს.

**— სექტემბრის შვეიცარია — საქართველოს გაგახსენებთ 4:1 — ასეთი ანგარიში ლოგიკური იყო?**

— ვიტყვი, რომ ჩვენ გაგვიმართლა, უფრო სწორად, გაგვიმართლა, რომ ასეთი ანგარიშით მოვიგეთ. არ ვიტყვი, რომ ბაზელში შვეიცარიამ საქართველოს ერთი თავით აჯობა, თუმც, ალბათ დამეთანხმებით, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. გაგვიმართლა, რომ საქართველოს მეორე გოლი ანგარიშის გათანაბრებისთანავე გავუტანეთ.

**— იმ შეხვედრის მერე საქართველოს ნაკრების თამაშს ველარ ნახავდით.**

— რატომ ფიქრობთ? ვნახე საქართველო — მოლდოვას ამხანაგური მატჩის ფირი, მაგრამ დასკვნების გაკეთება გამიჭირდა. იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ჩვენთან ითამაშა, მოლდოვასთან სულ ორი ფეხბურთელი იყო.

**— საქართველო შაბათს ირლანდიას ეთამაშება, შვეიცარია კი ისვენებს. ეს ფაქტორი თქვენთვის სასარგებლო იქნება?**

— არა მგონია, ამას დიდი და პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად, მეორე ტურში ჩვენ ალბანეთში ვითამაშეთ, ირლანდიამ ის ტური გამოტოვა. ალბანეთიდან კი სწორედ დასვენებულ ირლანდიელებს ვესტუმრეთ და დავმარცხეთ. კალენდრის ასეთ სისტემას თავის პლუს-მინუსები აქვთ და არ შეიძლება თქმა, რომ ტურში დასვენება რომელიმე გუნდზე დადებითად იმოქმედებს.

**— თბილისში მოდიხართ, ერაყში ომის არ გეშინიათ?**

— თქვენ გეშინიათ?

**— იმდენი ვნახეთ, ერაყული ომი ჩვენზე აღარც მოქმედებს.**

— ჰოდა, არც ჩვენ გვეშინია, მით უმეტეს, რომ საშიშროების შემთხვევაში უეფა თბილისში მატჩის ჩატარებას არ გარისკავდა.

**კობა ინასარიძე**

## შვეიცარია სათბილისოდ

იაკობ კუნმა დაპირებისამებრ, იმ ორი ფეხბურთელის ვინაობაც გაამხილა, რომელთაც თბილისში იახლებს. ერთ-ერთი მათგანი, „გრასჰოპერის" 25 წლის ნახევარმცველი კრისტოფ შპიხერი ნაკრების დებიუტანტია, მეორე კი — „ციურიხის" 23 წლის ცენტრალური მცველი სტეფან კელერი გახლავთ
თბილისშიც შვეიცარია 19 ფეხბურთელით გვეწვევა.

*მეკარეები: პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი), ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი);*

*მცველები: ბერნტ ჰაასი (ბაზელი), რემო მაიერი (მიუნხენ 1860, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მურატ იაკინი (ბაზელი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), მარკო ცვისიგი (ბაზელი), სტეფან კელერი (ციურიხი);*

*ნახევარმცველები: რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), ჰაკან იაკინი (ბაზელი), მარიო კანტალუპი (ბაზელი), კრისტოფ შპიხერი (გრასჰოპერი);*

*თავდამსხმელები: შტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), ლეონარ ტურე (სერვეტი)*



შარშანდელ 7 სექტემბერს ბაზელში ქართველები შვეიცარიელთა გოლების შემყურენი იყვნენ

[illegible]




## საღამოს ცხრა საათზე, ომის შემდეგ

დღევანდელი მატჩის არსი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებს ერთი თამაშიდან ერთი წაგება აქვს, ირლანდიის ნაკრებს კი ორი თამაშიდან ორი წაგება.

ჩვენთვის ეს ნიშნავს, რომ სატურნირო ცხრილში ჯერ არა ვართ ირლანდიის დღეში, მაგრამ შეიძლება საათის ცხრისთვის იქ აღმოვჩნდეთ, რაც ღმერთმა დაიფაროს.

ირლანდიისთვის კი ეს ნიშნავს, რომ იმავე საათის ცხრისთვის, თუ სამი ქულა არ ექნება ხელში, მისთვის ევრო-2004-ის შესარჩევი ტურნირი, ფაქტობრივად, დამთავრებულია.

ირლანდიის ნაკრების მოთამაშეები და თავკაცები ხუთშაბათ საღამოდან ფრთხილად აცხადებენ, შევეცდებით მოვიგოთო, თუმცა, სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ირლანდია თავს დადებს გამარჯვებისთვის, რადგან ფრეც კი ბევრს ვერაფერს შესძენს ამ გუნდს.

როგორ გამოიყენებს საქართველოს ნაკრები ირლანდიელთა ამ განწყობას და მდგომარეობას? ირლანდიელებს თავად ვითარება კარნახობს ხერხს. საქართველოს უპირატესობაც ესაა. უფრო სწორად, ის, რომ თამაშით ნაკლები აქვს. თუ ირლანდიელებს სასუნთქი თითქმის არ დარჩათ, საქართველოს სასუნთქი ჯერ კიდევ აქვს.

ყოველივე ეს ზოგად ლაპარაკად გამოდის, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ არა ამ საღამოს, არამედ ოთხშაბათის ამბავსაც. შვეიცარია ახლა კარგი გუნდია. საქმე ის არ არის, რომ შვეიცარიელები დიდი მიზნებისთვის არ არიან ხოლმე მოწოდებულნი. საქმე ის არის, რომ შვეიცარია კარგი გუნდია, მოგვიგო ჩვენ და სტუმრად მოუგო ირლანდიელებს, რომლებიც ოთხშაბათს ალბანელებს ხვდებიან. სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ შვეიცარიელებს ვმასპინძლობთ.

ოთხშაბათის თამაშების განწყობა კი სწორედ დღეს იქმნება. ანუ, ნამდვილად გადამწყვეტი თამაში დღეს არის და ჩვენც ეგ გვინდა, რომ საქართველომ გამოიყენოს ირლანდიელთა მძიმე მდგომარეობა. დღეს მწვრთნელთა ჭიდილი არანაკლები უნდა იყოს, ვიდრე გუნდებისა. ჩვენ ისედაც ვიცით, რომ ირლანდია არაჩვეულებრივად ამტანი და მომთმენი გუნდია, თუმცა, შემოდგომაზე კრიზისში გაეხვა, რაც ხშირად ემართებათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნამყოფ გუნდებს. რუსეთთან ღია თამაშში ირლანდიელები დამარცხდნენ, შვეიცარიასთან ალბათ თავისი ყველაზე უვარგისი თამაში გამოუვიდათ, მაგრამ მას შემდეგ მწვრთნელიც შეიცვალა და ვითარებაც უკეთესი შეიქნა. ახლა ირლანდია ფლობს და ავითარებს თავის ყველა ტრადიციულ თვისებას. იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვდეს, ბრაიან კერს დღეს აქვს საბრძოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოდგომაზე საბრძოლი აღარაფერი ექნება.

აი, აქ იმალება დღევანდელი თამაშის არსი და ნეტავ საქართველოს ეყოს ყველაფერი ის, რაც აქვს — ამხანაგური სულის ოფიციალურ თამაშებზე გადართვა.

ამიტომ, ამ საღამოს, ცხრა საათზე ბევრი რამ გველოდინება.

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი



## ფიქრები ფარერებზე

### ფიოლერი ფრანცის ფავორიტია



რუდი ფიოლერის ნაკრებში ოლივერ კანი შეუცვლელია

გერმანელებს ჯერ კიდევ ახსოვთ ფარერებთან ძლივს მოგებული მატჩი. კუნძულელები იმ შეხვედრაში ოდნავ იღბლიანები რომ ყოფილიყვნენ, ქულას გასტაცებდნენ მეტოქეს. რუდი ფიოლერმა თქვა, მოწინააღმდეგის შეუფასებლობა ხშირად დამღუპველია და ლიტველებთან სრული მობილიზება გვჭირდებაო. დიტმარ ჰამანმა კვერი დაუკრა: „იმედი გვაქვს, რომ ამჯერად გამარჯვებას გაცილებით იოლად მივაღწევთ, ვიდრე ფარერებთან. საკუთარ გამოცდილებიდან ვიცით, დღეს სუსტი გუნდები არ არსებობენ და მოულოდნელობისთვის მზად უნდა ვიყოთ."

გერმანელებს მიხაელ ბალაკი ტრავმის გამო ვერ დაეხმარება, ისევე როგორც იენს იერემისი და კრისტოფ მეცელდერი.

შეტევაში ფიოლერი, ალბათ, ფრედი ბობიჩსა და მიროსლავ კლოზეს გაამწესებს. „კაიზერსლაუტერნის" ფორვარდმა ბრძანა: „ჩვენს ნაკრებს თავდამსხმელებს უწუნებენ, მე კი პირიქით მგონია, ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს."

ფრანც ბეკენბაუერიც თანამემამულეთა მოგებას ელის: „ევროპის მომავალ ჩემპიონატზე თუ გვსურს თამაში, სამი ქულა აუცილებლად გვჭირდება. დიტმარ ჰამანი გუნდს დაუბრუნდა, სწორედ ის გვაკლდა ბოლო მატჩებში. ჰამანი ყველაფერს წესრიგში მოიყვანს. წინასწარ ზეიმი სასურველი არაა, მთავარია, მოვიგოთ. მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებთან კი წავაგეთ რამდენიმე შეხვედრა, მაგრამ ამისგან ტრაგედიის შექმნა სისულელეა. ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვეზრდება, რაც რუდი ფიოლერს ექსპერიმენტების საშუალებას მისცემს."

ლიტველებს თებერვალში ახალი მწვრთნელი, ალგიმანტას ლუბინსკასი დაუნიშნეს. საკადრო პრობლემები მასაც დაჰგროვებია. ლიტველებს დღეს კაპიტანი რაიმონდას ჟუტაუტასი, მცველი ანდრიუს სკერლა და ფორვარდი რობერტას პოშკუსი დააკლდებიან. „მიუხედავად დანაკლისისა, მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ" — თქვა მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## 29 მარტი: გერმანია – ლიტვა

### გერმანია

*მეკარეები:* ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (დორტმუნდი)

*მცველები:* ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), მარკო რემერი (ჰერტა), კრისტოფ მეცელდერი (დორტმუნდი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი), ტობიას რაუ (ვოლფსბურგი)

*ნახევარმცველები:* იორგ ბიომე (შალკე), ტორსტენ ფრინგსი (დორტმუნდი), სებასტიან კელი (დორტმუნდი), დიტმარ ჰამანი (ლივერპული, ინგლისი), იენს იერემისი (ბაიერნი), კარსტენ რამელო (ლევერკუზენი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი)

*თავდამსხმელები:* ფრედი ბობიჩი (ჰანოვერი), პოლ ფრაიერი (ბოხუმი), მიროსლავ კლოზე (კაიზერსლაუტერნი), კევინ კურანი (შტუტგარტი), ბენჟამინ ლაუტი (მიუნხენ 1860)

## კარგი დასაწყისია

### ოლსენმა გრავესენს სტრიპტიზი დაუწუნა



მორტენ ოლსენი

„ვიკინგებმა" რუმინელებთან მატჩისთვის მზადება იმით დაიწყეს, რომ „ევერტონის" ნახევარმცველმა ტომას გრავესენმა... ჩაიხადა.

ვარჯიშის დროს ევერტონელი ერთ-ერთ თანაგუნდელს ელაპარაკებოდა და ტრუსი ჩაიძრო. იქვე ჩასაფრებულმა ფოტოგრაფმა აპარატი ჩააჩხაკუნა და შიშველი ფეხბურთელი რუმინულ გაზეთში საქვეყნოდ გამოაჭენა. ეს ამბავი მორტენ ოლსენმა რომ შეიტყო, გრავესენი ცხელ გულზე კი გამოლანძღა, მაგრამ ნაკრებში მაინც ათამაშებს.

დანიელთა მწვრთნელს მატჩამდე უამრავი პრობლემა შეექმნა. „მილანის" ლეგიონერი ტომას ჰელვეგი ტრავმირებულია, ისევ როგორც „კოპენჰაგენის" ნახევარმცველი თომას როულ-ლარსენი, „ეინდჰოვენის" კასპერ ბოგელუნდი და „მიდტიულანდის" მეკარე პიტერ იენსენი.

მათ ნაცვლად „ვიკინგთა" თავკაცმა „ოლბორგის" მეკარე ჯიმი ნილსენი, „ვოლფსბურგის" ნახევარმცველი თომას რიტერი და „ბოლტონიდან" პერ ფრანდსენი გამოიძახა. მორტენ ოლსენს კიდევ ბუქარესტული ამინდი აღელვებს, მოედანი საშინელ მდგომარეობაშიაო.

თავის მხრივ, რამდენიმე ფეხბურთელს ანგელ იორდანესკუც მოისაკლისებს. მას ვერ გადაუწყვეტია დან პეტრესკუ დაცვას მიახმაროს, შუახაზს თუ თავდასხმას. სამი ფორვარდი გუნდს ნამდვილად ვერ დაეხმარება — ვიორელ მოლდოვანი, მარიუს ნიკულაე და ადრიან ილიე. შეტევაში სავარაუდოდ იონელ განიას და ადრიან მუტუს გაამწესებს, ზურგიდან კი ბეშიქთაშელ დანიელ პანჩუს მიაშველებს. „დანია დღეისთვის ჩვენზე უკეთესი გუნდია — თქვა რუმინელთა მწვრთნელმა — მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი დამარცხება შეუძლებელია. მეტოქეს პატივს ვცემთ და მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

## 29 მარტი: რუმინეთი – დანია

### რუმინეთი

*მეკარეები:* ბოგდან ლობონტი (აიაქსი, ჰოლანდია), ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ვინტილია (ნაციონალი);

*მცველები:* კოზმინ კონტრა (ატლეტიკო, ესპანეთი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია), მირელ რადოი (სტიაუა), გეორგე პოპესკუ (ჰანოვერი, გერმანია), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), ლაურენტიუ რეგეკამპფი (კოტბუსი, გერმანია), ალრიან იენჩი (რაპიდი);

*ნახევარმცველები:* დორინელ მუნტიანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), დენის სერბანი (კორდობა, ესპანეთი), ალინ სტოიკა (ბრიუგე, ბელგია), ფლორინ სოავა (რაპიდი), პოლ კოდრია (პალერმო, იტალია), რაზვან რატი (რაპიდი);

*თავდამსხმელები:* ადრიან მიჰალჩია (ჯენოა, იტალია), ადრიან მუტუ (პარმა, იტალია), დანიელ პანჩუ (ბეშიქთაში, თურქეთი), იონელ განია (შტუტგარტი, გერმანია), ფლორინ ბრატუ (რაპიდი)

### დანია

*მეკარეები:* თომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (მიდტიულანდი);

*მცველები:* მარტინ ალბრეხტსენი (კოპენჰაგენი), კასპერ ბოგელუნდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), თომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ნიკლას იენსენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), მარტინ ლაურსენი (მილანი, იტალია);

*ნახევარმცველები:* თომას გრავესენი (ევერტონი, ინგლისი), კლაუს იენსენი (ჩარლტონი, ინგლისი), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), თომას როლ-ლარსენი (კოპენჰაგენი), მორტენ ვიგჰორსტი (ბრონდბიუ);

*თავდამსხმელები:* პეტერ ლოვენკრანდსი (რეინჯერსი, შოტლანდია), იესპერ გრონკიაერი (ჩელსი, ინგლისი), იან მიკაელსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), დენის რომედალი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ებე სანდი (შალკე, გერმანია), იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია)




თომას გრავესენი

### I ჯგუფი

**დღეს**

კვიპროსი — ისრაელი

საფრანგეთი — მალტა

**2 აპრილი**

სლოვენია — კვიპროსი

ისრაელი — საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |

### II ჯგუფი

**დღეს**

ბოსნია — ლუქსემბურგი

რუმინეთი — დანია

**2 აპრილი**

ლუქსემბურგი — ნორვეგია

დანია — ბოსნია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 10:1 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

### III ჯგუფი

**დღეს**

ჰოლანდია — ჩეხეთი

ბელარუსი — მოლდოვა

**2 აპრილი**

ჩეხეთი — ავსტრია

მოლდოვა — ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

### IV ჯგუფი

**დღეს**

პოლონეთი — უნგრეთი

**2 აპრილი**

პოლონეთი — სან მარინო

უნგრეთი — შვედეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| შვედეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

### V ჯგუფი

**დღეს**

შოტლანდია — ისლანდია

გერმანია — ლიტვა

**2 აპრილი**

ლიტვა — შოტლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლიტვა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### VI ჯგუფი

**დღეს**

სომხეთი — ჩრდ. ირლანდია

უკრაინა — ესპანეთი

**2 აპრილი**

ჩრდ. ირლანდია — საბერძნეთი

ესპანეთი — სომხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

### VII ჯგუფი

**დღეს**

ლიხტენშტაინი — ინგლისი

მაკედონია — სლოვაკეთი

**2 აპრილი**

ინგლისი — თურქეთი

სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მაკედონია | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### VIII ჯგუფი

**დღეს**

ხორვატია — ბელგია

**2 აპრილი**

ესტონეთი — ბულგარეთი

ხორვატია — ანდორა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ხორვატია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### IX ჯგუფი

**დღეს**

იტალია — ფინეთი

უელსი — აზერბაიჯანი

**2 აპრილი**

სერბეთი — უელსი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| სერბეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | 1 |

### X ჯგუფი

**დღეს**

ალბანეთი — რუსეთი

საქართველო — ირლანდია

**2 აპრილი**

ალბანეთი — ირლანდია

საქართველო -- შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

29 მარტი: ჰოლანდია – ჩეხეთი



ფრანკ დე ბური (მარჯვნივ) დღეს საიუბილეო მატჩს ითამაშებს

## დე ბურმა 100 ფრანკი ჩამოყარა
## ნარინჯისფერი იუბილე

**დიკ ადვოკაატს** ჩეხებთან ჭიდილი ელის. დღევანდელ მატჩში მას პატრიკ კლუივერტისა და ბრწყინვალედ მობურთალი რუუდ ვან ნისტელროისა ეიმედება. ნისტელროის საგოლე მადა გაეხსნა და არც კლუივერტია ჯაბანი.

პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „რასინგის“ კარში გატანილი ორი გოლის მიუხედავად, მარკ ოვერმარსი ადვოკაატის სავარაუდო თერთმეტეულში ვერ მოხვდა. „მარკი ურიგო ფორმაში არაა — თქვა მწვრთნელმა — თუმცა ამჯერად კონკურენციამ იმსხვერპლა „რასინგთან“ მისი თამაში ვნახე გოლებიც გაიტანა, მაგრამ სანაკრებოდ სხვები უკეთ მოემზადნენ.“

ტრავმის გამო „ნარინჯისფერებს“ აიაქსელი ვან დერ მეიდე და ფილიპ კოკუ გამოაკლდნენ. მწყობრში არიან ედგარ დავიდსი, ბულევინ ზენდენი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი. არსენალელმა თებერვალში გამართულ ამხანაგურ მატჩში არგენტინას გამარჯვების გოლი გაუტანა. მას თავის ჩვეულ ადგილას, მარცხენა ფლანგზე გამწესებენ. ზენდენი და ბრონკჰორსტი თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, რაც დიკ ადვოკაატს სულაც არ ალელვებს: „მერე რა? ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ნაკრებში ისინი ყოველთვის კარგად თამაშობდნენ და მე ვენდობი.“

„ნარინჯისფერთა“ კაპიტანი, ფრანკ დე ბური დღეს საიუბელეო მე-100 შეხვედრას მიითვლის.

ჩეხებს, ფაქტობრივად, ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ. მხოლოდ იან კოლერს აწუხებდა უმნიშვნელო ტრავმა. ერთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მომჯობინდა და კვლავ გამოჩნდება ტომაშ როსიცკი. როსიცკი და პაველ ნედვედი მოედნის შუაგულში იბზრიალებენ და თავდამსხმელებს მოამარაგებენ. ჩეხთა დაცვას აიაქსელი ტომაშ გალაშეკი შეადუღებს, მოსკოვის ცსკა-ს თავდამსხმელს ირჟი იაროშიკს კი ავსტრიასთან სათამაშოდ დაიმატებენ.

**გაგა ხუციშვილი**

*გერმანიის სამგზის ჩემპიონი, თასის ორგზის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგისა და საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული, 126 გოლით ბუნდესლიგის ყველაზე შედეგიანი უცხოელი — ჯოვანი ელბერის კოლექციაში ყველა ტიტულს გადააწყდებით, მხოლოდ ერთს, პისტოლეტს ვერ იპოვით, იმ პისტოლეტს, ბუნდესლიგის ბომბარდირთათვის გერმანულ სპორტულ გამოცემა „კიკერს“ რომ დაუწესებია და ერთობ პრესტიჟულადაც ითვლება. გერმანიაში უკვე გატარებული რვა სეზონისა და უამრავი გატანილი გოლის მიუხედავად, ბრაზილიელი ფორვარდი ჯერაც არ ყოფილა სეზონის საუკეთესო მეგოლე. ამ ტიტულთან წლეულს ახლოსაა, თუმცა კონკურენტებიც მრავლად და კარგ ფორმაში მყოფები ჰყავს — ფრედი ბობიჩი, თომას კრისტიანსენი, კევინ კურანი და მთავარი — თანამემამულე აილტონი. ელბერი ბრემენის „ვერდერის“ ბრაზილიელ ფორვარდს ერთი გოლით ჩამორჩება, დანარჩენებს კი ერთი-ორი ბურთით უსწრებს*

# გერმანული პისტოლეტი
## დიზელის კაცის წინადადება: ტურისტული საგზური!
## ჯოვანი ელბერს ცოლმა ჯვარი ჩამოხსნა



**ცოტა ხნის წინ** ჯოვანის პატარა ჩავარდნა ჰქონდა, რამდენიმე ტურიანმა უშედეგობამ ყველა მის წინააღმდეგ განაწყო და ერთი პერიოდი მის „ბაიერნიდან“ წასვლაზეც ალაპარაკდნენ. თუმცა ელბერმა მალე ისევ დაიწყო გატანა და ჰიცფელდმაც ყველა დაადუმა: „მე კლუბში იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ ჯოვანიც აქ იქნება. იგი ჩემს ტაქტიკურ სქემას ზედმიწევნით ერგება. ასე რომ, მისი გუნდში ყოფნა ჩემი აქ მუშაობის წინაპირობაა“ — განაცხადა ბავარიელთა თავკაცმა ამასწინათ. მწვრთნელის ნათქვამმა ფეხბურთელს შვება მოჰგვარა და ისიც ძველებურად ათამაშდა. თუმცა სკეპტიკოსებს მაინც ჰქონდათ ერთი ხელჩასაჭიდი, რის გამოც ელბერის გაკრიტიკება ყოველთვის შეეძლოთ — 2002 წლის 13 აპრილის მერე ბრაზილიელს სტუმრად გოლი ვერ გაეტანა: მიმდინარე სეზონში შეგდებული 14 ბურთიდან ყველა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ მიეთვალა. ნავსი 15 მარტს გატყდა, ისიც მას შემდეგ, რაც მისმა მეუღლემ ქმარს მკერდიდან ოქროს ჯვარი მოხსნა და იუველირს მიუტანა, რომელსაც ჯვარზე გამოსახული იესოს თავის წაჭრა უბრძანა. შეცვლილი ნაკეთობა კი ისევ ჯოვანის დაუბრუნა.

ამ ამბიდან ორ დღეში საოცრება მოხდა: „ბოხუმთან“ მატჩის 36-ე წუთზე ელბერის თავური ხარიხიდან ასხლეტით მასპინძელთა კარის ღარაჯ ვან დუინჰოვენს ზურგში მოხვდა და კარში შევარდა. დავა, ვის ეკუთვნოდა გოლი, ელბერს თუ ავტოგოლად უნდა გაფორმებულიყო, ფორვარდის სასარგებლოდ დამთავრდა და სამართლიანადაც.

„ამ გოლმა ამოსუნთქვის საშუალება მომცა — ამბობს ჯოვანი — წლეულს ბომბარდირობის იმედი მაქვს, ჩემს გერმანიაში გატარებულ წლებს თუ გადახედავთ, წინ მივდივარ. „შტუტგარტში“ პირველ სეზონში 8 ბურთი შევაგდე, მერე კი ჯერ 16, შემდეგ 17. „ბაიერნში“ 11-ით დავიწყე, რასაც მომდევნო სეზონებში 13, 14, 15 და 17 გოლი მივაყოლე. ახლა ჩემპიონატის ბოლომდე რვა ტურია, ჩემს ანგარიშზე კი 15 ბურთია, რაც საწადელის ასრულების იმედს მაძლევს“.

ალსანიშნავია ერთი ფაქტიც, აგერ უკვე 12 წელია, რაც „ბაიერნის“ ფეხბურთელი ჩემპიონატის ბომბარდირი ვერ გამხდარა. ბოლოს ეს 1991 წელს როლანდ ვოლფარტმა მოახერხა 21 გოლით.

ბევრი ფიქრობს, რომ ელბერი ამ არასასურველ სტატისტიკასაც მოუღებს ბოლოს. ბრაზილიელს ბევრი უდგას მხარში, თანაგუნდელი, ყოფილი თანაგუნდელი თუ ფეხბურთის ქომაგი. „ბოხუმთან“ მატჩის წინ გასახდელში მყოფმა ელბერმა მობილურ ტელეფონზე ყოფილ თანაგუნდელ შტეფან ეფენბერგისგან მესიჯი მიიღო: „ბოლოს და ბოლოს, გაიტანე დღეს და გააჩუმე ყველა“ — ეწერა მესიჯში. თავდამსხმელის სულიერ მდგომარეობაზე მისი ფსიქოლოგი მეუღლეც ზრუნავდა, რომელიც ბოლო დროს სულ ერთს ჩასჩიჩინებს ქმარს: „ბურთს რომ კარგავ, თავჩაქინდრული ნუ ხარ, თავი მაღლა! დაანახე ყველას, რომ ძლიერი ხარ!“

მინდორზე კიდევ უფრო ბევრნი არიან ისეთები, ჯოვანის დახმარება რომ სურთ. ესენი მისი თანაგუნდელები არიან. პერუელ კლაუდიო პიზაროს 11 გოლით თავად შეუძლია ბომბარდირობა, თუმცა ამბობს: „მე ჯერ 24 წლის ვარ და დრო საკმარისი მაქვს. ამიტომაც ჩემპიონობას რომ გავინაღდებთ, მერე ჯოვანის პასებით მოვამარაგებ.“ ელბერის კიდევ ერთი პარტნიორი, როკე სანტა კრუზი კი ხუმრობის ხასიათზე დამდგარა. „მეტი საქმე არ მაქვს, ელბერს მივეხმარო. მე რომ ბურთიანად კარისკენ დავაწვები, კეთილი ინებოს, სისწრაფეში არ ჩამომრჩეს, აი, მაშინ კი პასს არ დავუგვიანებ“ — სიცილით ამბობს 21 წლის პარაგვაელი, რომელიც მთელი სერიოზულობით ამატებს, არ მესმის, რატომ არ ურტყამს ჯოვანი პენალტებსო. ამაზე ელბერის პასუხი ასეთია: „თერთმეტმეტრიანი სულ ერთხელ მაქვს დარტყმული, მაშინ „შტუტგარტში“ ვთამაშობდი და „ბაიერნს“ ვხვდებოდით. სამწუხაროდ, კანმა ამიღო. თან ერთიცაა, ჩვენს სასარგებლოდ პენალტი ძალიან იშვიათად ინიშნება.“

მართალია ჯოვანი, წლეულს „ბაიერნს“ ერთადერთხელ მოუწია თერთმეტმეტრიანის შესრულებამ, 30 ნოემბერს ბალაკმა ბერლინში „ჰერტა“ დაამწუხრა. ახლა ბალაკი ტრავმირებულია და ელბერსაც შეუძლია პენალტების შესრულება თავად იკისროს, თუმცა ამის გაკეთებას მაინც არ აპირებს, ბომბარდირი ისედაც გავხდებიო, ამბობს დარწმუნებით და მთავარ კონკურენტ, „ვერდერის“ შტატიან პენალტისტ აილტონს ნიძლავს სთავაზობს.

„ტონის რამდენჯერმე დავურეკე, თუმცა ვერ გამოვიჭირე, ყურმილს არ იღებს. მინდოდა ნიძლავი შემეთავაზებინა. იმედია, თავად შემეხმიანება, თუ არა და პრესის საშუალებით ვთავაზობ საკმაოდ კარგ ნიძლავს. ბომბარდირთა დავაში მოგებულმა შეკებულება წაგებულის ხარჯზე გაატაროს. ერთი სიტყვით, ტურისტულ საგზურს ვგულისხმობ“ — ასეთია საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ელბერის წინადადება.

ჯოვანი წარსულსაც იხსენებს, ჩემი ბომბარდირობა ახლა ამდენი სალაპარაკო არ გახდებოდა, მე რომ უნამუსო კაცი ვყოფილიყავიო. ამ სიტყვებში ბრაზილიელი თავდამსხმელი 1996 წელს გულისხმობს. მაშინ ელბერს ჯერ კიდევ „შტუტგარტის“ ფორმა ემოსა. მაშინ ბოლო ტურში ბალაკოვმა და ბობიჩმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჯოვანის გაეტანა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, რადგან მისი კონკურენტი პისტოლეტისთვის ბრძოლაში სწორედ ფრედი ბობიჩი გახლდათ. ბოლო ტურის წინ ორივეს 15-15 გოლი ჰქონდა გატანილი. „კარლსრუესთან“ შეხვედრაში ბობიჩმა ანგარიში გახსნა, მერე ელბერმაც გაიტანა. მესამე გოლი ისევ ბობიჩმა შეაგდო. ბოლო 20 წუთში ფრედი ყველაფერს აკეთებდა, რათა პარტნიორს ეხეირა, მაგრამ ჯოვანიმ ეს არ ქნა და გერმანული პისტოლეტიც ბობიჩს დარჩა.

„მაშინ ფრედიმ კარგი მომენტი შემიქმნა და დამიყვირა, მიდი გაიტანე, ბომბარდირები ერთად გავხდებითო, მაგრამ ჩემთვის გოლის გატანაზე მნიშვნელოვანი სხვა რამეა. მიხარია, რომ მიუნხენში ყველა ასე ფიქრობს“ — ამბობს ჯოვანი, რომელსაც წლეულს უკვე შვიდი საგოლე პასი დაუგროვდა. ამ პასებიდან, რამდენჯერმე მას თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ თანაგუნდელისთვის გადაწოდება არჩია. „გერმანიამ ბევრ რამესთან ერთად პასიც მასწავლა“ — კმაყოფილია ელბერი, რომლის აზრითაც, წლეულს საუკეთესო მეგოლეობის შანსი ბევრს აქვს. მიუხედავად ამისა, 50 მეტრიდან კარში დარტყმას ნამდვილად არ ვაპირებო, ამბობს.

ჰიცფელდის ჯილას არც თვითკრიტიკა აკლია. თავით თამაში არ ვიციო, ჩივის, თუმცა მერე სტატისტიკაში იხედება და უკვირს, რომ გატანილი 15 გოლიდან 5 სწორედ თავით შეუგდია. დანარჩენი 10-დან 6 მარჯვენი ფეხით გაუტანია, 4-იც მარცხენათი. მოდი და, ამის მერე მისი ნაკლი ეძებე. მის პოვნაში დახმარებას თავად ჯოვანი ცდილობს.

„სპრინტერულ სიჩქარეს ნუ მომთხოვთ, რადგან სხეულში სუპერ-ბენზინი კი არა, დიზელი მისხია. ჩემი სტიქია საჯარიმოა, ვერ ვიტან შორიდან დარტყმებს, რადგან ბურთს ძლიერად რომ ვურტყამ, ფეხი მტკივა“ — ხუმრობს ბრაზილიელი, მერე კიდევ ერთხელ აკვირდება ბომბარდირთა ცხრილს და ძნელად დასაჯერებელ რამეს ამბობს: „კლაუდიო თუ ბოლო ტურებში ბევრ გოლს გაიტანს და გადამისწრებს, ეს ჩემთვის პრობლემა სულაც არ იქნება, მთავარია, პისტოლეტი მიუნხენში ჩამოვიტანოთ.“ თავდამსხმელის ამ სიტყვებში კი ძნელად დასაჯერებელი პიზაროს ბომბარდირობაა, საამისოდ პერუელმა მასზე წინ მდგომ 5 თავდამსხმელს უნდა გადაასწროს, თან არ დაგავიწყდეთ, რომ მასავით 11 ბურთი კიდევ 6 ფეხბურთელს გაუტანია. თავად პიზაროს ბომბარდირობა კი ჯოვანისთვის პრობლემა მართლაც არაა, ან კი რატომ უნდა იყოს საუკეთესო მეგობრის წარმატება?



ელბერს პისტოლეტს თვისტომი აილტონი ეცილება

„ჩვენი შვილები საბავშვო ბაღში ერთად დადიან. მეუღლეებიც ძალიან კარგად უგებენ ერთმანეთს. ძალიან ხშირად ერთად ვართ. ასეთი მეგობრობა მართლაც შესაშურია. „ბაიერნიდან“ ჩვენი გზები რომ გაიყრება, პერუში კლაუდიოს ხშირი სტუმარი ვიქნები“ — პირდება მეგობარს ელბერი და იქვე ამატებს, იცით, რა გამიხარდება ყველაზე მეტად? თუ პიზარო ბომბარდირი გახდება, მე კი „დორტმუნდს“ სტუმრად გოლს გავუტან და სწორედ იმ მატჩში ჩემპიონობას გავინაღდებთ. ეს პიკი იქნებაო. ჩემპიონობას ელბერს მთავარი კონკურენტი აილტონიც უსურვებს, თუმცა სამაგიეროდ, პისტოლეტის დათმობას სთხოვს.

აპირებს თუ არა ელბერი პისტოლეტის დათმობას, ეს მის მიერ შეთავაზებული ნიძლავიდანაც კარგად ჩანს.

**განო ოქროპირიძე**
***ბერლინიდან***

# ვერ მომწველით!
## თქვენი ბაირამობა დასრულდა


პატრიკ ვიეირა მადაზეა

**ჩემპიონთა ლიგა** ფულს იწვევს და ამ მეწველის გარეშე დარჩენილ „არსენალს“ ჯიბის ამოკრვა მოუწევს. „მეთოფეებს“ ორი სამიზნე შერჩათ — პრემიერლიგა და ინგლისის თასი. ორ ფრონტზე ბრძოლა გაცილებით ადვილია, მაგრამ „არსენალს“ მესამეც შეემატა — ფეხბურთელთა ჯამაგირი.

ლონდონში თოფიდან ამბავი გავარდა: პატრიკ ვიეირას და რობერ პირესს გაყიდვას უპირებენო. რას ერჩიან მათ? არაფერს, პირიქით, თურმე ფეხბურთელები გაბღენძილან, ხელფასის მომატებას ითხოვენ. ამჟამად „არსენალის“ ფანების საფიქრალიც ესაა, წავლენ თუ არა ფრანგები „ჰაიბერიდან“.

კლუბის პრეზიდენტმა პიტერ ჰილ-ვუდმა ბიჭებს ურჩია, ციდან მიწაზე დაეშვან, „არსენალისთვის“ ახალი სტადიონის აშენებას ვაპირებთ და ხელფასები არ მიხსენოთო. დედაქალაქის გარეუბანში სტადიონის მშენებლობა 300 მილიონი გირვანქას წაიღებს.

ზაფხულში არსენ ვენგერს სატრანსფეროდ გაცილებით ცოტას, 10 მილიონ გირვანქას უმზადებენ, რაც დავხარჯეთ, რა მოვიგეთო. ასე რომ, ვენგერი ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფულს ძველებურად ველარ გაანიავებს. პიტერ ჰილ-ვუდმა კი ჯიბის გასქელების მსურველთა საყურადღებოდ თქვა: „ფეხბურთელებმა თვალი გაახილონ და ვითარება რეალურად შეაფასონ. უნდა შეიგნონ, რომ ჯამაგირის ყოველწლიურად ზრდა კლუბისთვის დამღუპველია. გამორიცხული არაა, პირესმა და ვიეირამ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტონ, თუ ხელფასს არ მოვუმატებთ. ეს მათი ნებაა და ძალით ვერ დავაკავებ. ბოლო წლებში ხარჯებმა ისედაც იმატა და მოთამაშეთა სურვილების გამო მე კლუბს ვერ დავანგრევ. კი, ბატონო, პატრიკ ვიეირა უდიდესი ფეხბურთელია და მისთვის შეიძლება გამონაკლისი რამდენჯერმე დავუშვათ, მაგრამ ყველაფერს საზღვარი და დასასრული აქვს“.

**გაგა ხუციშვილი**

# რა სარგებლობა მოაქვს მკვლელობას?
## სახელცვლილი იუგოსლავია უელსს აგვისტოში შეხვდება

სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებისთვის უელსთან თამაშის გადადება, როგორც ჩანს, მადლიანი საქმეა — ევრო 2004-ის მეცხრე შესარჩევი ჯგუფის ამბავი გახლავთ. მატჩი ოთხშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ უსაფრთხოების პრობლემებიდან გამომდინარე, იგი 20 აგვისტოს შედგება. საქმე ის გახლავთ, რომ პრემიერ-მინისტრის, ზორან ჯინჯიჩის მკვლელობამ ჯერ კიდევ შეიძლება კუდები გამოიბას, ამიტომ ხალხმრავალი ღონისძიებები მიზანშეწონილი არ არის.

ხუთშაბათს ყოფილმა იუგოსლავიის ნაკრებმა კრუსევაჩში, ამხანაგურ შეხვედრაში, ბულგარეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 1:2 წააგო, რის გამოც, სერბთა და ჩერნოგორიელთა მწვრთნელი, დეიან სავიჩევიჩი შეწუხებული გახლდათ:

„ძალიან უკმაყოფილო ვარ. ცუდად ვითამაშეთ. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ბოლო დროს ჩვენს სასარგებლოდ არაფერი ხდება და ამიტომ, უელსთან თამაშის გადადება მესიამოვნა. ჩვენ ბევრი დაშავებული და დაღლილი ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც დასვენება და გონს მოსვლა სჭირდებათ. ბულგარელებთან შეხვედრაში მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებით დავრჩი კმაყოფილი, მთლიანობაში კი საშინელება იყო“.

იუგოსლავიელთა ბომბარდირის, დარკო კოვაჩევიჩის აზრით, ბულგარეთის ნაკრებთან ის და მისი თანაგუნდელები ფრეს მაინც იმსახურებდნენ.

„ხუთი თუ ექვსი გამოცდილი ფეხბურთელი გვაკლდა და მატჩი მაინც თანაბრად მიმდინარეობდა. ფრეს ვიმსახურებდით. თანაც, ჩვენი გუნდის რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშემ დაამტკიცა, რომ ძალიან ნიჭიერია. საბოლოოდ ამ შეხვედრას მხოლოდ უიღბლოს თუ ვუწოდებდი“ — თქვა კოვაჩევიჩმა.

საინტერესოა, რომ რაც ქვეყანამ, რომელიც ინერციით ამ წერილშიც იუგოსლავიად მოვიხსენიეთ, სახელი გადაირქვა და სერბია და ჩერნოგორია იწოდა, მის ნაკრებს თამაში არ მოუგია: ბულგარეთზე გითხარით და მანამდე ჩერნოგორიის დედაქალაქ პოდგორიცაში აზერბაიჯანთან 2:2 მოახლაფორთა.

**პაპუნა ძიძია**


REUTERS

სერბეთი და ჩერნიგორია — ბულგარეთი. ამ მატჩში დამარცხებულ მასპინძლებს მწვრთნელმა გარჯა დაუწუნა


იოზეფ ბლატერმა და გერჰარდ აიგნერმა უფულობაზე იწუწუნეს

# მდიდრებიც ტირიან

**მომდევნო სეზონიდან** ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბები იმდენ ფულს ველარ იშოვნიან, რამდენსაც აქამდე შოულობდნენ. ხუთშაბათს, ფიფამ და უეფას „ოქროს ხანა“ ფაქტობრივად დახურულად გამოაცხადა.

რა მოხდა ხუთშაბათს? რომში უეფას კონგრესი გაიმართა, რომელსაც 52 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. კონგრესის მონაწილეთა წინაშე გამოსულმა გერჰარდ აიგნერმა — იგი ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანიზაციის აღმასრულებელი შეფი გახლავთ — განაცხადა:

„უნდა ვაღიაროთ, რომ ოქროს ხანა დასრულებულია. ჩვენი შემოსავლის ნორმალიზაცია — აი, ეს ამოცანა გვიდგას ამიერიდან. უეფა მომავალი სეზონიდან 181,3 მილიონ დოლარს კარგავს, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე დიდი კლუბების ზარალი კი უფრო მეტი იქნება“.

კონგრესს ესწრებოდა ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც, მან თქვა:

„ძალიან სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ჩვენი ტელეპარტნიორი ცალკეულ ასპექტში გამოუვალ მდგომარეობაში მოხვდა და გაკოტრდა კიდეც. არ გამოვრიცხავ, რომ ოქროს ხანის წლებში გაუმართლებელ ნაბიჯებს ვდგამდით. დღეს, ზოგიერთ კლუბსა და ფედერაციას სერიოზული ფინანსური სირთულეები უდგას. რა გაეწყობა, უკეთესი მომავლის იმედით ვცოცხლობთ“.

დიდი კლუბების შემოსავალს ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი რომ აკლდებოდა, აქამდეც ვიცოდით — პირველი ეტაპის გამარჯვებულები, მომავალი სეზონიდან, ოთხი თამაშით ნაკლებს ჩაატარებენ.

გაისად პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატია და ამ შეჯიბრებას, ბუნებრივია, თავისი შემოსავალი ექნება, მაგრამ ევროპის პირველობა ყოველწლიური მოვლენა არ გახლავთ, სხვა მხრივ კი, უეფას ხაზინადარის, ჰოლანდიელი იეუ სპრენგერსის თქმით, მდგომარეობა უარესდება.

„ყველაზე სამწუხარო ზარალს ჩემპიონთა ლიგა განიცდის. მას შარშანდელთან შედარებით 215 მილიონი, ახლანდელთან შედარებით კი 244 მილიონი შვეიცარიული ფრანკი დააკლდება“ — თქვა მეფულემ.

შემოსავლის შემცირება ყველაზე მეტად მდიდარ კლუბებს აღიზიანებს. მოგეხსენებათ, მათ შექმნილი აქვთ ორგანიზაცია, რომელსაც G-14 დაარქვეს (ოღონდ მასში 18 გუნდია გაერთიანებული) და არ არის გამორიცხული, ამ G-14-მა უეფას ალტერნატიული სამსახურის შექმნაზე ახალი ძალით დაიწყოს ფიქრი.

ზოგადი სურათი ასეთია: უეფას შემოსავლის 82,1 პროცენტი დღეს ტელეკომპანიებისგან მოდის, 16-სპონსორებისაა, 1,2 — სხვა ბიზნესისგან, ვთქვათ ლიზინგისგან, ხოლო ბილეთების გაყიდვა სულ რაღაც 0,4 პროცენტს იძლევა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ტელეტრანსლაციათა შემცირება მოგებასაც შეამცირებს.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ევრო 2004-ს, სპრენგერსი ვარაუდობს, რომ იგი 200 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მოიტანს, მაშინ, როდესაც ევრო 2000-მა 120 მილიონი მოიტანა.

და ბოლოს, 2004 წელს უეფა 50 წლისა ხდება. გერჰარდ აიგნერის თქმით, ამ თარიღს ზეიმი მოუხდება და თან, უნდა შეიქმნას „ლიდების დარბაზი“, რომელშიც უეფას წევრი ყველა ქვეყანა თავის, ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელს წარადგენს.

მთელი ევროპის მასშტაბით შეჩუშავდება კლუბთა ლიცენზირების პროგრამაც.

**პაპუნა ძიძია**

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

#### II ჯგუფი. V ტური

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 3:1 უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე)**

1:0, 2:0 მაესტრი (34, 59), 3:0 ხულინიო (63), 3:1 ორმაზაბალი (89)

**სერო პორტენო (პარაგვაი) 2:6 პაისანდუ (ბრაზილია)**

0:1 ველბერი (32), 1:1 ბარეტო (44), 1:2 ველბერი (52), 1:3 რობსონი (603), 1:4 იარლეი (75), 2:4 სალკედო (77), 2:5 რობსონი (87), 2:6 იარლეი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაისანდუ | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 13 |
| სპორტინგ კრისტალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| სერო პორტენო | 5 | 1 | 2 | 2 | 7:12 | 5 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:11 | 3 |

#### III ჯგუფი. V ტური

**ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 1:0 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

1:0 ბანგუერო (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 13 |
| ამერიკა დე კალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| ელ ნასიონალი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| 12 დე ოქტუბრე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | 3 |

## ამხანაგური მატჩი

**სერბეთი 1:2 ბულგარეთი**

0:1 ს. პეტროვი (14), 1:1 დ. კოვაჩევიჩი (28), 1:2 ტოდოროვი (56)

## ოთხთა ტურნირი

### ნახევარფინალი

**ტუნისი 2:2დ.დ. (პენ.8:7) განა**

0:1 ჩ. ამოა (45), 1:1 მჰედბი (46), 1:2 ჩ. ამოა (48), 2:2 მისაუი (54)

**კამერუნი 2:0 მადაგასკარი**

1:0 ფილსი (15), 2:0 ჟობი (43)

### ფინალი 30 მარტი

**კამერუნი — ტუნისი**


UAB "Biljardai"
Zeus COMPANY
Biljardai
ბილიარდის მაგიდები
და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
კონსულტაციები, გარანტია
ყვასტადება, რემონტი, რესტავრაცია
95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 17.00 | 002 | ბაბელსბერგი-კილი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVII ტური** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 17.30 | 008 | რეგენსბურგი-ბაიერნი(მ) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 009 | ჰოფენჰაიმი-ვეენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.30 | 010 | კიკერსი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 18.00 | 007 | აინტრახტი(მ)-ერფურტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.00 | 011 | ზიგენი-ფულენდორფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 012 | დარმშტადტი-შვაინფურტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| **ინგლისი. I დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 19.00 | 017 | დერბი-მილუოლი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 018 | ჯილინგემი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 019 | ნორვიჩი-ბრედფორდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 020 | უენსდი-უოტფორდი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| **ინგლისი. II დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 19.00 | 021 | ბლეკპული-ქუინს პარკი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 022 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 023 | ბრისტოლი-ბარნსლი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 024 | კოლჩესტერი-სუინდონი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 025 | ქრიუ-სტოკპორტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 026 | ქრიუ-სტოკპორტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 027 | მენსფილდი-პიტერბრო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 028 | ნოტსი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 029 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 030 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 031 | უიგანი-პლიმუთი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| **ინგლისი. III დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 19.00 | 037 | კემბრიჯი-სკანთორპი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 038 | დარლინგტონი-ბერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 039 | ჰარტლპული-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 040 | ლინკოლნი-როჩდეილი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 19.00 | 041 | მაკლსფილდი-კიდერმინსტერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 042 | რაშდენი-ექსეტერი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 19.00 | 043 | ტორკი-ბოსტონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 044 | იორკი-საუთენდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| **იტალია. სერია "B". XXVIII ტური** | | | | | | | | |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 18.00 | 045 | ანკონა-სალერნიტანა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 18.00 | 046 | კალიარი-პალერმო | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 18.00 | 047 | კატანია-ტრიესტინა | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| 18.00 | 048 | ლეჩე-ჯენოა | 1,5 | 3,3 | 8,0 | 1,03 | 1,26 | 2,33 |
| 18.00 | 049 | სამპდორია-ბარი | 1,5 | 3,3 | 8,0 | 1,03 | 1,26 | 2,33 |
| 18.00 | 050 | სიენა-კოზენცა | 1,45 | 3,5 | 8,0 | 1,02 | 1,22 | 2,43 |
| 18.00 | 051 | ვენეცია-ლივორნო | 2,1 | 2,6 | 4,2 | 1,16 | 1,4 | 1,6 |
| 18.00 | 052 | ვერონა-მესინა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| 23.30 | 053 | ტერნანა-ასკოლი | 1,7 | 2,9 | 6,0 | 1,07 | 1,32 | 1,95 |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 23.30 | 054 | ნაპოლი-ვიჩენცა | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| **იტალია. "C1 A". XXIX ტური** | | | | | | | | |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 19.00 | 058 | ალბინოლეფე-ჩიტადელა | 1,7 | 2,8 | 6,5 | 1,05 | 1,34 | 1,95 |
| 19.00 | 059 | კარარეზე-რეჯანა | 2,5 | 2,5 | 3,2 | 1,25 | 1,4 | 1,4 |
| 19.00 | 060 | ლუკეზე-პიზა | 2,7 | 2,6 | 2,9 | 1,32 | 1,39 | 1,37 |
| 19.00 | 061 | ლუმეცანე-არეცო | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 19.00 | 062 | პადოვა-სპეცია | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 19.00 | 063 | პისტოიეზე-პროპატრია | 2,0 | 2,6 | 4,6 | 1,13 | 1,39 | 1,66 |
| 19.00 | 064 | პრატო-ალძანო | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 19.00 | 065 | სპალ-ტრევიზო | 3,0 | 2,6 | 2,6 | 1,39 | 1,39 | 1,3 |
| 19.00 | 066 | ვარეზე-ჩეზენა | 3,0 | 2,6 | 2,6 | 1,39 | 1,39 | 1,3 |
| **იტალია. "C1 B". XXIX ტური** | | | | | | | | |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 19.00 | 071 | კიეტი-ტერამო | 3,1 | 2,5 | 2,6 | 1,38 | 1,41 | 1,27 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 073 | ლანჩანო-ბენევენტო | 1,8 | 2,6 | 5,6 | 1,06 | 1,36 | 1,77 |
| 19.00 | 074 | მარტინა-ფერმანა | 1,5 | 3,3 | 8,0 | 1,03 | 1,26 | 2,33 |
| 19.00 | 075 | ტორესი-პესკარა | 3,0 | 2,6 | 2,6 | 1,39 | 1,39 | 1,3 |
| 19.00 | 076 | სორა-კროტონე | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 19.00 | 077 | პეზარო-ტარანტო | 2,5 | 2,5 | 3,2 | 1,25 | 1,4 | 1,4 |
| 19.00 | 078 | ვიტერბეზე-პატერნო | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| **31 მარტი** | | | | | | | | |
| 23.30 | 079 | აველინო-სამბენედეტეზე | 1,75 | 2,7 | 6,0 | 1,06 | 1,35 | 1,86 |
| **ესპანეთი. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 20.00 | 083 | ეიბარი-კომპოსტელა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 20.00 | 084 | სერესი-კორდობა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 24.00 | 085 | ლას პალმასი-ალბასეტე | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 00.30 | 086 | ელჩე-ლევანტე | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 15.00 | 087 | ლეგანესი-ეხიდო | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 20.30 | 088 | ბადახოსი-ტენერიფე | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 21.00 | 089 | სპორტინგი-სალამანკა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| 21.00 | 090 | ტერასა-ფეროლი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 20.00 | 091 | ალმერია-ოვიედო | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 21.00 | 092 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 23.30 | 093 | ნუმანსია-მურსია | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| **ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | | | |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 17.30 | 104 | დენ ბოსხი-დენ ჰააგი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| **ბელგია. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 22.30 | 106 | დესელი-რუზელარე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 107 | ეუპენი-დაინცე | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 18.00 | 108 | ინგელმუნსტერი-პატრო | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.00 | 109 | ტინენი-ლიეჟი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 110 | ვარეგემი-ვიგორი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.00 | 111 | რონსე-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 18.00 | 112 | სერკლი-ვიზეტი | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 18.00 | 113 | დენდერლეუ-ჰეუსდენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| **შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 17.00 | 115 | ალოა-ფოლკირკი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| 17.00 | 116 | არბროთი-სტ.მირენი | 2,9 | 3,4 | 2,2 | 1,56 | 1,25 | 1,33 |
| **შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 17.00 | 121 | ბრეჩინი-სტენჰაუზმური | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 19.00 | 122 | ფორფარი-სტრანრარი | 2,15 | 3,4 | 3,0 | 1,31 | 1,25 | 1,59 |
| **შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 17.00 | 124 | ელგინი-ალბიონი | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| 17.00 | 125 | პიტერჰედი-ქუინს პარკი | 1,45 | 4,2 | 6,0 | 1,07 | 1,16 | 2,47 |
| 19.00 | 126 | გრეტნა-მორტონი | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი. გადადებული მატჩი** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 20.30 | 129 | ვოლენი-კონკორდია | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| **შვეიცარია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | | | |
| **30 მარტი** | | | | | | | | |
| 18.00 | 134 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | | | |
| **29 მარტი** | | | | | | | | |
| 18.00 | 143 | სომხეთი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 19.00 | 144 | საქართველო-ირლანდია | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 19.00 | 145 | შოტლანდია-ისლანდია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.30 | 146 | უელსი-აზერბაიჯანი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 147 | უელსი-აზერბაიჯანი 0:1 | 1,45 | 3,5 | 4,2 | | | |
| 20.00 | 148 | რუმინეთი-დანია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 20.30 | 149 | ბელარუსი-მოლდოვა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.00 | 150 | კვიპროსი-ისრაელი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 151 | ალბანეთი-რუსეთი | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| 21.30 | 152 | ლიხტენშტაინი-ინგლისი | 30,0 | 10,0 | 1,03 | 7,5 | 1 | 1 |
| 21.30 | 153 | ხორვატია-ბელგია | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 22.00 | 154 | გერმანია-ლიტვა | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 155 | გერმანია-ლიტვა 0:2 | 1,85 | 3,5 | 2,5 | | | |
| 22.00 | 156 | უკრაინა-ესპანეთი | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1,3 | 1,3 |
| 22.00 | 157 | მაკედონია-სლოვაკეთი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.00 | 158 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.15 | 159 | ბოსნია-ლუქსემბურგი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 160 | ბოსნია-ლუქსემბურგი 0:1 | 1,45 | 3,5 | 4,2 | | | |
| 23.30 | 161 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 162 | საფრანგეთი-მალტა | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 163 | საფრანგეთი-მალტა 0:4 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | | |
| 24.00 | 164 | იტალია-ფინეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 165 | იტალია-ფინეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **ევრო შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 187 | ალბანეთი(21)-რუსეთი(21) | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| 17.00 | 188 | ბელარუსი(21)-მოლდოვა(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 18.00 | 189 | მაკედონია(21)-სლოვაკეთი(21) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 14.00 | 224 | კორეა-კოლუმბია | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 16.00 | 225 | ესტონეთი-კანადა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 00.15 | 226 | პორტუგალია-ბრაზილია | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 22.00 | 227 | აშშ-ვენესუელა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 06.30 | 228 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 229 | ჩილე-პერუ | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **რაგბი** | | | | | | |
| | | **ექვსი ერის თასი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 793 | საფრანგეთი-უელსი | 1,05 | 25 | 7,0 | 1 | 1 | 5,46 |
| 19.00 | 794 | შოტლანდია-იტალია | 1,1 | 25,0 | 5,3 | 1,05 | 1 | 4,37 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 795 | ირლანდია-ინგლისი | 2,8 | 17,0 | 1,4 | 2,4 | 1 | 1,29 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 801 | ტუა-რაჰმანი | 1,25 | 20,0 | 3,1 | 1,17 | 1 | 2,68 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

**29 მარტი**

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 19.00 | 2301 | შოტლანდია-ისლანდია | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2302 | რუმინეთი-დანია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2303 | კვიპროსი-ისრაელი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2304 | ალბანეთი-რუსეთი | 1,75 | 1,85 |
| 21.30 | 2305 | ხორვატია-ბელგია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2306 | უკრაინა-ესპანეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2307 | მაკედონია-სლოვაკეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.00 | 2308 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2309 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2310 | იტალია-ფინეთი | 1,9 | 1,7 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

**29 მარტი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.00 | 2401 | შოტლანდია-ისლანდია | 1,4 | 3,0 |
| 20.00 | 2402 | რუმინეთი-დანია | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2403 | კვიპროსი-ისრაელი | 2,2 | 1,7 |
| 21.00 | 2404 | ალბანეთი-რუსეთი | 2,8 | 1,45 |
| 21.30 | 2405 | ხორვატია-ბელგია | 1,7 | 2,2 |
| 22.00 | 2406 | უკრაინა-ესპანეთი | 2,1 | 1,75 |
| 22.00 | 2407 | მაკედონია-სლოვაკეთი | 1,85 | 1,95 |
| 23.00 | 2408 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,55 | 2,5 |
| 23.30 | 2409 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 1,5 | 2,6 |
| 24.00 | 2410 | იტალია-ფინეთი | 1,15 | 4,4 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**29 მარტი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.00 | 2201 | შოტლანდია-ისლანდია | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2202 | რუმინეთი-დანია | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2203 | კვიპროსი-ისრაელი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2204 | ალბანეთი-რუსეთი | 1,8 | 1,8 |
| 21.30 | 2205 | ხორვატია-ბელგია | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2206 | უკრაინა-ესპანეთი | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 2207 | მაკედონია-სლოვაკეთი | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2208 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2209 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 1,85 | 1,75 |
| 24.00 | 2210 | იტალია-ფინეთი | 1,8 | 1,8 |

## I ტაიმის შედეგი

**29 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 2001 | შოტლანდია-ისლანდია | 1,95 | 2,2 | 6,0 | 1,03 | 1,47 | 1,6 |
| 20.00 | 2002 | რუმინეთი-დანია | 2,7 | 2,1 | 3,4 | 1,18 | 1,5 | 1,29 |
| 21.00 | 2003 | კვიპროსი-ისრაელი | 3,5 | 2,1 | 2,6 | 1,31 | 1,49 | 1,16 |
| 21.00 | 2004 | ალბანეთი-რუსეთი | 5,6 | 2,2 | 2,0 | 1,57 | 1,47 | 1,04 |
| 21.30 | 2005 | ხორვატია-ბელგია | 2,6 | 2,1 | 3,5 | 1,16 | 1,49 | 1,31 |
| 22.00 | 2006 | უკრაინა-ესპანეთი | 3,3 | 2,1 | 2,8 | 1,28 | 1,51 | 1,19 |
| 22.00 | 2007 | მაკედონია-სლოვაკეთი | 3,0 | 2,1 | 3,1 | 1,23 | 1,52 | 1,25 |
| 23.00 | 2008 | პოლონეთი-უნგრეთი | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 23.30 | 2009 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 24.00 | 2010 | იტალია-ფინეთი | 1,45 | 3,2 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,28 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

**29 მარტი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 2501 | შოტლანდია-ისლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2502 | რუმინეთი-დანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2503 | კვიპროსი-ისრაელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2504 | ალბანეთი-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.30 | 2505 | ხორვატია-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2506 | უკრაინა-ესპანეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2507 | მაკედონია-სლოვაკეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2508 | პოლონეთი-უნგრეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2509 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 2510 | იტალია-ფინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 მარტი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 2101 | შოტლანდია-ისლანდია | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,4 | 1,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2102 | რუმინეთი-დანია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 2103 | კვიპროსი-ისრაელი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 21.00 | 2104 | ალბანეთი-რუსეთი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 21.30 | 2105 | ხორვატია-ბელგია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.00 | 2106 | უკრაინა-ესპანეთი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 22.00 | 2107 | მაკედონია-სლოვაკეთი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.00 | 2108 | პოლონეთი-უნგრეთი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2109 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 24.00 | 2110 | იტალია-ფინეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ბ კორპუსი

ბიურომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


## ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონები და თასი აღება**
**ჩემპიონთა თასი**
**8 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 001 რეალი | 3,8 |
| 002 მანჩესტერი | 4,0 |
| 003 მილანი | 4,4 |
| 005 იუვენტუსი | 6,0 |
| 007 ინტერი | 6,0 |
| 006 ბარსელონა | 7,0 |
| 008 ვალენსია | 7,5 |
| 011 აიაქსი | 15,0 |

**უეფას თასი**
**10 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 021 ლაციო | 2,0 |
| 025 სელტიკი | 2,5 |
| 024 პორტუ | 4,2 |
| 034 ბოავიშტა | 7,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**5 აპრილი (16.30)**

| | |
|---|---|
| 051 არსენალი | 1,35 |
| 052 მანჩესტერი | 2,5 |
| 055 ნიუკასლი | 12,0 |

**იტალია. სერია A**
**5 აპრილი (21.00)**

| | |
|---|---|
| 063 იუვენტუსი | 1,7 |
| 062 ინტერი | 2,3 |
| 061 მილანი | 4,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**5 აპრილი (22.00)**

| | |
|---|---|
| 071 რეალი | 1,1 |
| 072 სოსიედადი | 3,5 |
| 074 დეპორტივო | 4,4 |
| 073 ვალენსია | 9,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**5 აპრილი (20.15)**

| | |
|---|---|
| 082 ლიონი | 2,6 |
| 081 მარსელი | 2,6 |
| 083 მონაკო | 2,6 |
| 089 ბორდო | 3,5 |
| 088 ნანტი | 10,0 |
| 085 პსჟ | 10,0 |
| 084 ოსერი | 15,0 |
| 086 ნიცა | 30,0 |
| 087 ლანსი | 30,0 |

**საბერძნეთი**
**I დივიზიონი**
**5 აპრილი (18.00)**

| | |
|---|---|
| 121 ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**5 აპრილი (17.25)**

| | |
|---|---|
| 191 სპარტა | 1,4 |
| 192 სლავია | 2,2 |

**პოლონეთი.**
**5 აპრილი (18.00)**

| | |
|---|---|
| 196 ვისლა | 1,2 |
| 197 ლეგია | 3,0 |
| 198 კატოვიცე | 5,0 |
| 199 ოდრა | 7,0 |

**თურქეთი**
**I ლიგა**
**4 აპრილი (22.00)**

| | |
|---|---|
| 132 ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 გალათასარაი | 2,5 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**5 აპრილი (19.00)**

| | |
|---|---|
| 141 რეინჯერსი | 1,5 |
| 142 სელტიკი | 2,0 |

**დანია**
**სუპერლიგა**
**5 აპრილი (20.00)**

| | |
|---|---|
| 151 კოპენჰაგენი | 1,1 |
| 152 ბრიონდბიუ | 3,5 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**6 აპრილი (19.15)**

| | |
|---|---|
| 162 გრასჰოპერი 1,3 | |
| 161 ბაზელი | 2,6 |

**ჰოკეი. NHL**
**სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 201 დეტროიტი | 4,0 |
| 202 დალასი | 4,0 |
| 207 ოტავა | 5,0 |
| 203 ფილადელფია | 6,0 |
| 205 ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 206 კოლორადო | 6,5 |
| 208 ვანკუვერი | 7,0 |
| 209 სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 ტორონტო | 10,0 |
| 210 ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 მინესოტა | 25,0 |
| 204 ბოსტონი | 50,0 |
| 224 აილენდერსი | 50,0 |
| 218 ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 ედმონტონი | 50,0 |
| 214 ლოს ანჯელესი | 75,0 |
| 217 მონრეალი | 75,0 |
| 222 რეინჯერსი | 75,0 |
| 220 ჩიკაგო | 100,0 |
| 223 ფლორიდა | 100,0 |
| 225 ფინიქსი | 100,0 |
| 230 ნეშვილი | 200,0 |

**კალათბურთი**
**NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | |
|---|---|
| 231 დალასი | 3,0 |
| 232 საკრამენტო | 3,0 |
| 233 ლეიკერსი | 3,0 |
| 236 სან ანტონიო | 5,0 |
| 234 ნიუ ჯერსი | 12,0 |
| 235 ინდიანა | 12,0 |
| 237 ფილადელფია | 15,0 |
| 238 ბოსტონი | 30,0 |
| 241 დეტროიტი | 12,0 |
| 242 პორტლენდი | 12,0 |
| 244 მინესოტა | 30,0 |
| 239 ორლანდო | 50,0 |
| 240 ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 მილუოკი | 50,0 |
| 248 იუტა | 50,0 |
| 246 ფინიქსი | 75,0 |
| 250 ვაშინგტონი | 100,0 |
| 252 ნიუ იორკი | 200,0 |
| 256 გოლდენ სტ. | 500,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# რუბინი ჩანდა?

## აღარ ჩანს, ჯენიმ გააგდო



REUTERS მაიამიდან

ალბერ კოსტამ ეს ესაა, როჯერ ფედერერი დაამარცხა

### NASDAQ-100 OPEN

### კი ბისკეინი. მაგარსაფარი

### კაცები

### საპრიზო 3,25 მილიონი $

### მეოთხედფინალი

**ალ კოსტა (9, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) 7:6 (7:4), 4:6, 7:6 (9:7)**

საუცხოო ფორმაში მყოფ როჯერ ფედერერსა და შარშანდელი როლან გაროსის მოგების შემდეგ დღემდე ველარაფრის გამკეთებელ ალ კოსტას მეოთხედფინალური შეხვდა იმ დღეს მძლავრმა ჭექა-ქუხილმა და შხაპუნა წვიმამ შეწყვიტა.

სტიქია ბარაქიან ჩოგნაობაში მაშინ ჩაერია, როცა ესპანელი ალპელს გადამწყვეტ სეტში 6:5 უგებდა და მოწოდება ალპელისა იყო. არადა, წვიმის პირველ წვეთებამდე რამდენიმე წუთით ადრე ფედერერი 5:4 იგებდა და ორი მატჩბურთიდან ერთ-ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, წვიმა და გრიგალი ჩვენს ამ მიმოხილვაში ვერანაირ როლს ველარ ითამაშებდა.

მაგრამ ვერ გამოიყენა და წვიმამაც ითამაშა. გრიგალი ბოლო-ბოლო შესუსტდა და ჩოგბურთელებს კორტზე შემობრუნების საშუალება იმდღესვე მიეცათ. ფედერერმა კი მოიგო ის თავისი მოწოდება და კოსტას ტაიბრეიკში შეება. ტაიბრეიკი თავიდან არავისი იყო, მაგრამ კოსტამ დიდი ჯაფის შემდეგ მიაღწია ორქულიან სხვაობას და მეოთხედფინალშიც ის გავიდა.

აქ კი ერთ რამესაც დავძენთ — ფედერერი კოსტას აქამდე ორჯერ შეხვედროდა და ორჯერვე მოეგო.

დღეს კი ბისკეინში კაცები ერთ სამეოთხედფინალო მატჩს გამართავენ, ერთმანეთს ანდრე აგასი და იუნეს ელ აინაუი შეებმებიან. აგასის ელ აინაუისთან სამჯერ უკეჭნავია და ამდენჯერვე გაუბასრავს...

მაიამიში გამარჯვებული კაცი — ეგებ არ იცოდეთ — ჯილდოს გარდა 500 ათას დოლარსაც მიიღებს.

### ქალები

### საპრიზო 2,96 მილიონი $

### ნახევარფინალი

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — კიმ კლაისტერსი (3, ბელგია) 6:4, 6:2; ჯენიფერ კაპრიატი (6, აშშ) — ჩანდა რუბინი (12, აშშ) 6:2, 6:4**

კიმ კლაისტერსი ის ქალია, ვინაც სერენა უილიამსს ბოლო დამარცხება აგემა. ეს ამბავი შარშან ნოემბერში, ლოს ანჯელესის სეზონდამაგვირგვინებელი ტურნირის ფინალში მოხდა.

იმ მატჩის შემდეგ მილეთს იმედი გაუჩნდა, რომ ლეიტონის ფუმფულა ქალი შავდათა წინააღმდეგ ჯვაროსანჩოგნოსნობას მომავალ სეზონშიც განაგრძობდა, მაგრამ — აპრუწუწუნ, ვერც ეს ამბავი მოგვერთვა!

კიმის ფსიქიკა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გაიბზარა, სადაც მან სერენასთან თითქმის მოგებული შეხვედრის ბოლომდე მიყვანა ველარ გაბედა.

ალბათ სწორედ მაშინ გადაწყდა ის ამბავიც, რომ კიმი სერენას „საბედისწერო“ მატჩს ვერასოდეს მოუგებს!

კიმის ქომაგთა ილუზიები კი საბოლოოდ მაშინ დასამარდა, როცა გუშინწინდელ პირველ სეტში ოკრობოკროდ მოთამაშე სერენამ 4:4-ზე ალელვებული ჯიგრის დაცხრომა და მომდევნო 16 გათამაშებიდან 15-ის მოგება შეძლო...

ამის შემდეგ კიმმა თეთრი მაისურა გამოფინა და მეორე სეტი ყოველგვარი ბრძოლის გარეშე დათმო.

შეგახსენებთ, რომ ეს მათი მეცხრე შეხლა გახლდათ და შავი ლაზიერი თეთრ ეტლუკას უკვე 8:1 უგებს.

ნამატჩევს კლაისტერსმა თქვა, რომ ახლა ოთხი-ხუთი კვირით ჩოგნის ჩამოკიდებას აპირებს. მიზეზად მან დაღლილობა და ხელახლა დამუხტვის აუცილებლობა დაასახელა. წლეულს უკვე 6 ტურნირზე ნაპაექრებსა და 29 მატჩის გამმართველ 19 წლის გოგოს მცირედ მოსვენება რომ სჭირდებოდეს, ეგ ვინძლო გასაკვირი ამბავს სულაც არ იყოს.

სერენა კი ფინალში ჯენი კაპრიატის შეეხლება, ვინაც გუშინ გვიანლამ ჩანდა რუბინს 6:2, 6:4 სძლია და ტურნირიდან გააგდო. არადა, ამბობდნენ, სერენას ჩანდასი უფრო ეშინოდაო.

ვნახოთ — სერენას და ჯენის შორის მჯობნისთვის ფსონად 393 ათასი დოლარია.

**ლევან ქელაურაძე**



REUTERS მაიამიდან

ჯენიფერ კაპრიატიმ ნახევარფინალში ჩანდა რუბინის სძლია და ფინალს უწია



*ვლადიმერ სტეფანია ოთხი წელია, სამშობლოში არ ყოფილა. საინტერესოა, როგორი ახსოვს მას საქართველო? ოთხი-ხუთი წლის წინ დედაქალაქში ტყვიები აღარ ზუზუნებდნენ, მაგრამ ვოვას აქედან მაინც არ გაჰყვებოდა ისეთ შთაბეჭდილებები, როგორსაც სიეტლში, ნიუ იორკში, მაიამისა და საერთოდ ამერიკაში აკრეფდა.*

*ამერიკიდან ჩამოსული სტეფანიას გონება უცბად აღიდგენს დედაქალაქის გადღაბნილ პეიზაჟს. რა შეიცვალა ამ წლებში? შესაძლოა, შენიშნოს, რომ ძველებურად დამტვერილ და ბინძურ ტროტუარებს, ერთი-ორი სარეკლამო დაფა დაემატა, ხოლო ანგრეული გზები კიდევ უფრო ჩაიხერგა ძვირფასი ავტომობილებით. გაოცებულმა, იქნებ ისიც გაიფიქროს ამ მანქანების პატრონები რატომ არ ზრუნავენ გზების შეკეთებაზე, რათა უფრო მშვიდად და აუმღვრევლად ხსრონ.*

*ვაგლახ, ბევრი არაფერი შეცვლილა. ისევ ვახველებთ ამ მტვერში და ბედნიერები ვართ, თუკი საიდანღაც მონაბერ სუფთა ჰაერს ჩავყლაპავთ. აგერ, სუფთა ჰაერმა თითქოს კალათბურთიდან დაუბერა. ორი წლის განმავლობაში შეუკრებელ ნაკრებს თავი მოება და სხვა რჩეულებთან ერთად ეპოქის უძლიერესი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანიაც ყაბულსაა, ჩამოვიდეს სათამაშოდ. ნაკრებს დაენიშნა მწვრთნელი, ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩი, რომელიც გვპირდება, ყველა ღირსეულს შევკრებ და 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიყვან ნაკრებსო. შესარჩევი ეტაპი სავარაუდოდ 2004 წლის ზაფხულში გაიმართება და აღარ დაემთხვევა ნბა-ს სეზონის მიმდინარეობას.*

# გვიყვარს ცეკვა-თამაში, ქვეყანას უნდა შაბაში

## მაიამიში დაღლილი ვლადიმერ სტეფანია სიამოვნებით ითამაშებს ნაკრებში






ვლადიმერ სტეფანია რამდენიმე დღის წინ „მაიამიში“ და რამდენიმე წლის წინ საქართველოს ნაკრებში თამაშისას

— კარგია, რომ ნაკრები იკრიბება, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მივაღწიოთ რაღაცას და ამოვიდეთ ამ ჭაობიდან — გვეუბნება, სტეფანია.

**— ნაკრების ახალ მწვრთნელს თუ იცნობთ?**

— არ ვიცნობ, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევს. შეკრებები და რამდენიმე თამაში აუცილებელია გუნდის შესაკვრელად. მწვრთნელმა უნდა იმუშაოს საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებთან და არ უნდა დაელოდოს 2004 წლის ზაფხულს. მგონი, აგვისტოში დაინიშნება შესარჩევი თამაშები, არა?

— ალბათ ასე იქნება. ესაა ფიბა-ს პროექტი, რომელიც სავარაუდოდ მალე დამტკიცდება. ფიბა ცდილობს, ნბა-ს ევროპელი მოთამაშეები ეროვნულ ნაკრებებს დაუბრუნოს და შესარჩევი ეტაპის გამართვას ზაფხულობით აპირებს. ამ დროს თქვენ ისვენებთ და ნბა ვერ შეაფერხებს მოთამაშეებს. ბრაიკოვიჩი აუცილებლად შეგეხმიანებათ...

— ჩამოვალ და ვითამაშებ, რა პრობლემაა. ისე, სულ მაღლები ვგროვდებით, გამთამაშებელი ვინ იქნება?

**— მწვრთნელი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებიდან შეარჩევს.**

— გამთამაშებელი აუცილებლად საჭიროა. გუნდის აშენება გამთამაშებლით და ცენტრით იწყება, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მაინც პირველია. გამთამაშებელი აწესრიგებს თამაშს, შეტევაში ბურთი მასა აქვს და ამიტომ მასზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

**— სამაგიეროდ, გვყავს ძლიერი ცენტრები...**

— რა გითხრათ, მე შემიძლია თამაშში 15-20 ქულა გავაკეთო, დაცვაში ვითამაშო და ევროპელ ცენტრებს დავუდგე... ფაჩულიაც კარგი ცენტრია...

**— როგორ ფიქრობთ, ყველა უძლიერესი რომ შეიკრიბოთ, შეძლებთ ევროპის ფინალურ ეტაპზე გასვლას?**

— ახლა ძნელია თქმა, თუკი ყველანი შევიკრიბებით, იქნებ შევძლოთ კიდეც. შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე შევაფასებდი, გააჩნია, როგორ ჯგუფში მოვხვდებით. თუ მეტოქედ იუგოსლავია, ხორვატია და იტალია შეგვხვდნენ, მაშინ გაგვიჭირდება. საშუალო სიძლიერის ჯგუფიდან კი ალბათ მოვახერხებთ გასვლას. მთავარია, გუნდი შეიკრას და შეთამაშდეს.

**— კალათბურთის ფედერაცია და ბრაიკოვიჩი ყველა პირობის შექმნას აპირებენ ძლიერი ნაკრების შესაქმნელად.**

— ჰო, ფედერაციის მხარდაჭერა აუცილებელია. თუკი ფედერაცია აქტიურად იმუშავებს და მხარდაჭერა იქნება, ასე 10-15 წელიწადში ქვეყანაში კალათბურთი აყვავდება. ასე კი საქართველო რამდენიმე საშუალო კალათბურთელის ქვეყანაა. მერე ქვეყანაში რომ გაჭირვებაა, ესეც აფერხებს კალათბურთის წინსვლას. თამაში ვის აინტერესებს, როცა მშიერია? აი, მამაჩემი ავიღოთ, ინჟინერი კაცია და 50 ლარი აქვს ხელფასი. ეს ხომ დაცინვაა. სულ ცოტათი მაინც უნდა განვითარდეს ეკონომიკა და სპორტსაც მიეხედება. საქართველოში კალათბურთი, ფეხბურთი, საერთოდ სპორტი და კულტურა არ დაიკარგება. ქართველებს გვიყვარს ცეკვა-თამაში.

**— ვოვა, „მაიამი ჰითზეც“ ვთქვათ. წინა საუბარში გვითხარით, რომ პატ რაილი დიდი ხნით არ მათამაშებს და შეტევაში მზღუდავსო, შემდეგ კი ისე მოხდა, ერთი შეხვედრა სასტარტო ხუთეულშიც დაიწყეთ და რამდენჯერმე 30-35 წუთით ითამაშეთ...**

— ახლა, თუ წამივიდა თამაში და გუნდიც იგებს ჩემი დახმარებით, ხომ არ გამომცვლის რაილი? მაგრამ აქ ზოგადად პოლიტიკაა ასეთი, გუნდის თამაშის ტაქტიკა სულ მოძრაობაზეა გათვლილი. ხუთივე მოთამაშე მოძრაობს და ნომინალური ცენტრი ფაქტობრივად არ არსებობს. ასე თამაშობენ „დაბალი“ გუნდები — „მაიამი“, „ორლანდო“, „მილუოკი“... მეც სხვებთან ერთად უნდა ვირბინო, მივიდე ფართან მარცხნიდან, შემდეგ სამწამიანის მარჯვნივ გადავიდე, მერე უნდა ამოვიდე სამქულიან ხაზთან და ბურთიან თანაგუნდელს „ბლოკი“ დავუყენო, შემდეგ კი პერიმეტრზე გავიხსნა და ასე დაუსრულებლად. ჩემხელა კალათბურთელისთვის ძნელია ასე სირბილი, ასეთ გიჟურ ტემპში ხუთ წუთს გაძლებ, მერე კი როცა გაჩერდები, დაგსვამენ.

ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ამ სირბილში შეიძლება არც მოგცენ პასი. აი, ბოლო თამაშშიც 20 წუთი ვირბინე და შეხვედრა რომ მთავრდებოდა, სამქულიან ხაზთან შემომაჩეჩეს ბურთი. იქ რა უნდა გამეკეთებინა? განა პირველად ან მეათედ ხდება ასე. დავიღალე რა! ზოგჯერ ისეთ პასს მაძლევენ, რომ მომინდება, ბურთს ფეხი ამოვცხო და ტრიბუნებზე გადავისროლო.

**— მალე სეზონი დამთავრდება, ჯერ არ გადაგიწყვეტიათ გუნდის გამოცვლა?**

— ჯერ ადრეა. ვნახოთ, რა როგორ აეწყობა. კარგი იქნება, თუ სამ-ოთხწლიან კონტრაქტს გავაფორმებ რომელიმე კლუბთან. ასე უფრო მშვიდად ვიქნები.

**ირაკლი ფირუმიშვილი**

# ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 26-27 მარტი**

# სიენა: საუნა თურქებისთვის

## ზაზა ფაჩულიაც მაგრად გაიოფლა

მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ქართული" გუნდები ასეთ ვითარებაში არიან: ერთმა საბოლოოდ დაკარგა ოთხთა ფინალში გასვლის შანსი, მეორემ კი თითქმის გაინაღდა, ერთი სხვაც ჰაერში გამოკიდებულა და თუ იღბალი წაეშველება, ბარსელონურ საოთხფინალო მატჩებშიც ითამაშებს.

ახლა უფრო კონკრეტულად. უშანსოდაა ზაზა ფაჩულიას „ულქერი", რომელმაც ჯგუფში მეოთხე მატჩიც წააგო. თურქული კლუბი სტამბოლში დაუხვდა იტალიურ „სიენას", რომელმაც სასწაულების კვერებივით გამოცხობა ისწავლა. ამ გუნდს ბედმა გაუღიმა, როცა პირველი ჯგუფური ეტაპიდან გააღწია. „სიენა" რვა გუნდში მე-6 იყო და იმის წყალობით შემორჩა ლიგას, რომ ბურთების უკეთესი შეფარდება ჰქონდა სხვა მეექვსეადგილოსნებთან შედარებით. ახლა კი სიენელები ჩემპიონურად ათამაშდნენ და ოთხი შეხვედრიდან ოთხი მოგებით ბარსელონამდეც აღარაფერი უკლიათ.

ზაზა ფაჩულიამ მხოლოდ 6 წუთი ითამაშა, მაგრამ „ულქერის" ძირითად ცენტრზე, 32 წუთით ნაბურთავებ ჯოზეფ ბლერზე მეტი ხეირი ნახა. ბლერის 8 ქულის წილ ქართველმა 9 ჩააგდო. სტამბოლელები სამი მეოთხედი გაუძალიანდნენ სიენელებს და მერე თეთრი დროშა გამოფინეს.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონი" რომ ბარსელონაში არ გაემგზავროს, სასწაული იქნება. ტრევიზოელები ჯგუფში ჯერაც დაუმარცხებლები არიან, ბოლო ტურში მათ ბასკეთში „ტაუ" მოინელეს. ჩვენებურს სათამაშოდ 4 წუთი ებოძა და მანუჩარმაც 2 ქულა შეაწია ბენეტონელებს.

ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია", რომელსაც თავიდან ბევრი ალმაცერად უცქერდა, ოთხთა ფინალამდე ერთ ნაბიჯში გააჩერეს, თუმც ლიუბლიანელებს საუკეთესო კვარტეტში მოსახვედრად ჯერაც შერჩენიათ შანსი.

„ოლიმპია" ათენში „ოლიმპიაკოსთან" დამარცხდა. ამ მატჩში ბოისა მცირე შესვენების შემდეგ ისევ ლიდერად მოევლინა თავის გუნდს. ჩვენებურის ძალისხმევით ლიუბლიანელებმა თავიდანვე მოიპოვეს ლიდერობა. ბოისამ ზონაში ჩამდგარ ოლიმპიაკოსელებს სამქულიანები დაუშინა. თუმც ვოვას თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი, „ოლიმპიამ" ამ მატჩში 22 სამიანიდან მხოლოდ 4 ჩააგდო.

საშუალო გაქანების კალათბურთელებით, თუმც სამაგალითო სულისკვეთებით შეკრული „ოლიმპია" ბოლომდე ღირსეულად ებრძოლა მეტოქეს, მაგრამ შინაურმა კედლებმა მაინც „ოლიმპიაკოსის" წისქვილზე დაასხა წყალი. ბერძნულმა კლუბმა მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე გატეხა სტუმარი და ჯგუფის ლიდერობაც შეინარჩუნა.

ამავე ჯგუფში „ბარსელონამ" „ვილერბანს" მოუგო და მშობლიურ ქალაქში გასამართ ოთხთა ფინალისკენ გაიწია. თუმც კატალონიელებს მაინც ჭაკადა აქვთ საქმე, რადგან ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსს" სტუმრობენ. მაშ, „ოლიმპიას" რაღა? რა და, ბოლოსწინა ტურში ბარსელონაში უნდა იმარჯვოს, რითაც კატალონიელებს გაახელებს და ისინიც საბერძნეთში „ოლიმპიაკოსს" მოუგებენ. ეს ჩვენი ფანტაზიაა, მაგრამ თუ მართლაც ასე მოხდა, მერე ბურთების შეფარდებას დაითვლიან და ევროლიგის ოთხთა ფინალში ეგებ ორმა ქართველმაც ითამაშოს, უკვე მოგახსენეთ, მარკოიშვილის „ბენეტონი" ცალი ფეხით ოთხთა ფინალშია.

**ირაკლი პერტაია**



ვლადიმერ ბოისა ისევ მოვიდა თამაშის იმპაზე

### D ჯგუფი

**ციბონა 82:75 ეფესი**
ძირითადი დრო 67:67
**ციბონა:** რიმაჩი (32), მუეძინოვიჩი (16)
**ეფესი:** გრანგერი (14), კამბალა (13)

**ცსკა 89:70 უნიკახა**
**ცსკა:** პაშინოვი (20), ალექსანდერი (16)
**უნიკახა:** კორნგაი (14), რიზაშე (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 3 | 1 | +46 | 7 |
| ეფესი | 4 | 3 | 1 | +2 | 7 |
| ციბონა | 4 | 2 | 2 | -2 | 6 |
| უნიკახა | 4 | 0 | 4 | -46 | 4 |

### E ჯგუფი

**ულქერი 80:92 სიენა**
**ულქერი:** ერდენაი (16), ფაჩულია (6 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა)
**სიენა:** ფორდი (19), თურქჯანი (18)

**სკიპერი 88:63 პანათინაიკოსი**
**სკიპერი:** შჩეპანოვიჩი (14), ფულცი (13)
**პანათინაიკოსი:** მაკდონალდი (17), ცარცარისი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 4 | 4 | 0 | +47 | 8 |
| სკიპერი | 4 | 2 | 2 | +2 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | -13 | 6 |
| ულქერი | 4 | 0 | 4 | -27 | 4 |

### F ჯგუფი

**მაკაბი 98:71 კინდერი**
**მაკაბი:** ვუიჩიჩი (22), ბ. უდრიჰი (15)
**კინდერი:** სმკულარიჩი (9), კოტუროვიჩი (16)

**ტაუ 75:84 ბენეტონი**
**ტაუ:** ნოჩიონი (14), ფორესტი (12)
**ბენეტონი:** ბულერი (16), მარკონატო (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 4 | 4 | 0 | +47 | 8 |
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | +47 | 7 |
| ტაუ | 4 | 1 | 3 | -25 | 5 |
| კინდერი | 4 | 0 | 4 | -69 | 4 |

### G ჯგუფი

**ვილერბანი 68:77 ბარსელონა**
**ვილერბანი:** ოუენსი (16), მარცელიჩი (12)
**ბარსელონა:** იასიკევიჩუსი (23), ფუჩა (20)

**ოლიმპიაკოსი 73:61 ოლიმპია**
**ოლიმპიაკოსი:** ევანსი (23), ჯონსონი (13)
**ოლიმპია:** იურაკი (13), ბოისა (22 წუთი, 11 ქულა, 2 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | +21 | 7 |
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | +17 | 7 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 2 | -10 | 6 |
| ვილერბანი | 4 | 0 | 4 | -28 | 4 |

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**

# ვინ აკეთებს კარგ ბიჭებს?

## მაკგრეიდიმ იცის, ვის გაეპრანჭოს

— 27 მარტი —

**ორლანდო 110:107 მინესოტა**
**ორლანდო:** მაკგრეიდი (30)
**მინესოტა:** გარნეტი (26)

**სან ანტონიო 98:85 ჰიუსტონი**
**სან ანტონიო:** ჯეკსონი (27), დანკანი (26)
**ჰიუსტონი:** მობლი (21), ტეილორი (15)

**საკრამენტო 93:83 კლიპერსი**
**საკრამენტო:** ვებერი (23)
**კლიპერსი:** მეჯიტი (14)

ხუთშაბათს გამართული სამი მატჩიდან გამორჩეულად საინტერესო ერთი გამოდგა — სეზონის უძვირფასესობისთვის მებრძოლი ბიჭების კლუბთა ჯახი. ლიგის მთავარმეტოქე ტრეისი მაკგრეიდის „ორლანდომ" „მფრინავი" კევინ გარნეტის ბოლო ხუთი მატჩში უძლეველი „მინესოტა" ისტუმრა და დრამატულ ბოლო წამებში დაამარცხა.

ამ მატჩის შემდეგ მაკგრეიდი უდავოდ გადაიბირებდა რამდენიმე ჟურნალისტს, რომლებმაც სულ მალე რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე უნდა გამოავლინონ. „ორლანდოს" იმედმა პირადი დუელი მოუგო „ოლ სტარის" უძვირფასეს გარნეტს, რომელმაც ამ მატჩში 26 ქულითა და 14 მოხსნით მეოცე ორმაგი დუბლი შეასრულა ბოლო 21 შეხვედრაში.

არადა, თავიდან მინესოტელებს ულხინდათ. გარნეტმა ჩვეული რიხით დაიწყო თამაში, მაკგრეიდიმ კი პირველი 9 სროლიდან 6 ააცილებინა. „ორლანდოს" ლიდერმა პირველი მეოთხედი 4 ქულით გაასრულა და მის 30-ქულიან მატჩების სერიას, რომელიც აგერ უკვე მე-12 თამაშია გრძელდება, შეწყვეტა დაემუქრა

სანამ მაკგრეიდი თვლემდა, „ორლანდო" მჩქეფარე ხორვატ გორდან გირიჩეკისა და პეტ გარიტის შემწეობით კუდში მიჰყვებოდა ოდნავ დაწინაურებულ „მინესოტას". მერე კი ტრეისიმაც „გაიღვიძა" და ბობოქარი გარნეტი დაჩრდილა.

გამარჯვებული ბოლო წუთებზე გამოვლინდა, მაკგრეიდიმაც სწორედ გადამწყვეტ ეპიზოდში დაამტკიცა, რომ არავისზე ნაკლები არ არის. მისი ზუსტი საჯარიმოებით „ორლანდომ" საფინალო სირენამდე 25 წამით ადრე მატჩის დებიუტში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. გარნეტმა, ვისაც მაკგრეიდიმ ამ ეპიზოდამდე რამდენჯერმე ასწაპნა ბურთი, მხოლოდ ერთი ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა ფლორიდელებს და მომდევნო შეტევაში ორლანდოელებმა გამარჯვებისა ჩააგდეს.

„ჩვენ მთელი თამაში ბრწყინვალედ ვირჯებოდით და ბოლო 3 წუთში ამის ნახევრის ნახევარი რომ გამოგვსვლოდა, აუცილებლად მოვიგებდით. ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში მოვადუნეთ ყურადღება და ყელი ჩვენივე ხელით გამოვიჭერით" — ნაღვლობდა გარნეტის თანამებრძოლი ვალი შჩერბიაკი.

დღის სხვა მატჩებში თითქმის ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი. „საკრამენტო" უფერულ „კლიპერსს" მასპინძლობდა და თავაუტკივებლად მოუგო, საჩემპიონო მაღაზე მოსული ტიმ დანკანის „სან ანტონიო" კი თავს დაატყდა „ჰიუსტონს" და თავის იაომინგიანად წალეკა.

**ირაკლი სახოჩიძე**

**ავტორბოლა**

*ფორმულა 1-ის მსოფლიოს 54-ე ჩემპიონატის ამგვარ სენსაციურ დასაწყისს ვერავინ ივარაუდებდა. „მაკლარენს" სეზონი ორი მოგებით ოთხი წელია, აღარ დაუწყია, ხოლო ხუთგზის ტრიუმფატორი მიხაელ შუმახერი ზედიზედ ორჯერ უპოდიუმოდ 2000 წლის მერე არ დარჩენილა. აღსანიშნავია საშუალოძალოვან „რენოს" ორივე პილოტის ქულებიანი სტარტიც, რისი წყალობითაც ფრანგული საჯინიბო სატურნირო ცხრილში ფავორიტ „ფერარის" გვერდითაა*

# იტალიელებმა შუმახერი გაამაიმუნეს

**ყოველივე** ეს არა იმდენად საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) მიერ მიხაელის ბოლოდროინდელი პარპაშის დასაოკებლად მოფიქრებული წეს-ცვლილებების შედეგია, როგორც ამას მეფორმულე ბოსები იჩემებენ. მაგრამ არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ საკვალიფიკაციო ფორმატის, აგრეთვე არაერთი სხვა რევოლუციური ღონისძიების გატარებით ჩემპიონატის მსვლელობა ბოლო წლებისგან განსხვავებით გაცილებით საინტერესო და დაძაბული გახდა.

შეგახსენებთ, მრბოლებს ამიერიდან ოთხის ნაცვლად მხოლოდ ერთი საპოულე წრე აქვთ, თანაც იმ ერთადერთი გაჯირითების შემდეგ მანქანაში საწვავის ჩამატება აკრძალულია და რბოლას წინა დღეს ავზში დარჩენილი ბენზინით იწყებენ. კვალიფიკაციამდე ვის რამდენი ჩაუსხამს, ცხადია, „ფირმის საიდუმლოებაა" და ფავორიტთა ერთი შეხედვით უხეირო შედეგებიც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი მძიმე, ლამის სავსე ავზიანი ბოლიდით გასულან ტრასაზე, რათა უშუალოდ რბოლაში გვიანი პიტსტოპის ხარჯზე უპირატესობა მიეღოთ. იქნებ ამიტომაც იყო, რომ ერთი კვირის წინ მალაიზიაში კვალიფიკაცია რომელიმე გრანდმა კი არა, რენოელმა ფერნანდო ალონსომ მოიგო. ოვიედოში 21 წლისა და 7 თვის წინ დაბადებული ალონსო „სამეფო რბოლების" ისტორიაში ყველაზე ყმაწვილპილოტი მეპოულე შეიქნა. ძველი რეკორდსმენი გახლდათ ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, ვინც 1994 წელს ბელგიაში კვალიფიკაცია ალონსოზე შვიდი თვით უფროსმა მოიგო. მეათე ესპანელი მეფორმულის დებიუტი შარშანწინ „მინარდიში" შედგა, გასულ წელს ის ტესტ-დრაივერად მუშაობდა „რენოში", ჯენსონ ბატონის „ბარში" გადასვლის შემდეგ კი ფრანგული გუნდის ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა. პოულის გარდა ფერნანდომ კუალა ლუმპურში პირველი პოდიუმიც იზეიმა და ამდენი მიღწევით ფრთაშესხმულს, ბუნებრივია, მადა გაეხსნა: „ვეცდები, ყველაზე ახალგაზრდა დიდი პრიზის მომგებიც გავხდე და მერე, თუ მოხერხდა, ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონიც."

მალაიზიურ ეტაპს მეორე გმირიც ჰყავს — „სეპანგზე" პირველი გამარჯვება მოიპოვა მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა. 23 წლის ფინელი, რომელსაც ცივი ხასიათის თუ ჩრდილო სამშობლოს გამო ჟურნალისტებმა „აისმენი" (ყინულის კაცი) შეარქვეს, რბოლის მომგებთა ისტორიულ სიაში 92-ე გახდა. პირველი ტრიუმფისთვის მას 36 ეტაპი ეყო, რაც მშვენიერი მაჩვენებელია. შედარებისთვის, კიმის სახელოვან, ორგზის ჩემპიონ თანამემამულე მიკა ჰაკინენს, ვინც რაიკონენმა შარშან „მაკლარენში" შეცვალა, თითქმის სამჯერ მეტი, 96 გაჯირითება დასჭირდა. ახალ სუომელ ვუნდერკინდს წლეულს პირველ რბოლაშიც ჰქონდა წარმატების შანსი, მაგრამ მელბურნის „ალბერტ პარკის" ბოქსიდან ტრასაზე დაბრუნებისას დასაშვებ სიჩქარეს (80 კმ/სთ) სულ რაღაც 1,1 კილომეტრით გადააჭარბა, რისთვისაც მსაჯებმა პიტლაინზე ნელა გავლით დააჯარიმეს და წარმატების იმედიც, რა თქმა უნდა, დაიკარგა.



ფერნანდო ალონსო, მალაიზიის გმირი

„მაკლარენიც" და „ფერარიც" ჯერჯერობით შარშანდელი, „მობერებული" ბოლიდებით დაჯირითობენ და ახალ მოდელზე გადაჯდომას აპრილის ბოლოს გეგმავენ. ასეთი შთამბეჭდავი შედეგების შემდეგ „მაკებს" იქნებ არც უღირდეთ აჩქარება, თუმც ხმები დადის, რაღაც არნახულ მონსტრს ამზადებენ, რომლის „მერსედესის" ძრავა 930 ცხენისძალიანია და ტრასაზე მისი გამოჩენა „ფერარისა" და მიხაელ შუმახერისთვის შოკისმომგვრელი იქნებაო.

მთავარსაც მივადექით. ორივე რბოლაში ჩაფლავების მიუხედავად, მიხაელი უქულოდ მაინც არ დარჩენილა, მისი წარუმატებლობა ერთი-ორი შეცდომის და უიღბლობის ბრალია და არა მანქანის სისუსტის, რომელსაც არც სისწრაფე აკლია და არც მდგრადობა. ერთი სიტყვით, „წითელი ბარონი" და მისი ბედაური ისევ ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტებად რჩებიან. ავსტრალიაში შუმის ბოლიდს ტრასიდან ბალახში ორჯერ გასეირნების შემდეგ გვერდითი დეფლექტორები მოსძვრა და მოგება გაუთვალისწინებელმა პიტსტოპმა დააკარგვინა. მალაიზიური ფიასკოს მიზეზი კი დასაწყისშივე დაშვებული შეცდომა გახდა, როცა იარნო ტრულის „რენოს" გასწრებისას ვერ მოზომა, შეეჯახა და საბოქსე შეიქნა. ამასთან, ამ აგრესიული მანევრისთვის მსაჯებმა ჩემპიონი პიტლაინზე ჩავლით დასაჯეს, რაც კიდევ ოციოდე წამის დაკარგვის ტოლფასია და მაინც, ამდენი დავიდარაბის მიუხედავად, შუმახერმა ექვსეულში დაასრულა რბოლა. საგანგაშო სხვა რამაა — ტრულის გასწრებისას დაშვებულ შეცდომას სპეციალისტთა და ჟურნალისტების მეტად მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ზოგიერთმა იტალიურმა გაზეთმა გერმანელს ამ ინციდენტისთვის მაიმუნიც კი უწოდა, რაზეც, ბუნებრივია, დიადი ჩემპიონის ბანაკიდან პასუხმა არ დააყოვნა. მიხაელის მენეჯერმა ვილი ვებერმა მკვახედ განაცხადა, რომ მსგავსი კრიტიკული გამონათქვამების გამო, რასაც ბევრნი შეგნებულად აკეთებენ, შუმახერმა შესაძლოა ვადამდე, წლეულსვე, შუა სეზონში დაასრულოს საფორმულო კარიერა, მიუხედავად იმისა, რომ მას „ფერარისთან" კონტრაქტი 2004 წლის ბოლომდე აქვს.

**გია ახალაძე**

## ფიგურული სრიალი

# ამაზე ოქრო ალალია

## რუსმა მსაჯებს გაუძლო, ყინულმა ქართველს



REUTERS ვაშინგტონიდან

ევგენი პლუშჩენკომ მსოფლიოს ოქრო მეორედ მოიგო

რუსი ალექსეი იაგუდინი ის კაცია, ვისაც ფიგურსასრიალო სპორტში სიტყვა ეთქმის. რატომაც არა, იაგუდინი ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონია და შარშან სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზეც პირველი იყო. ევროპის ჩემპიონობა და გრან პრიზების მოგება ხომ სათვალავში ჩასაგდები არც არის. ჰოდა, იაგუდინმა, ვინაც ამ მსოფლიოს ჩემპიონატს ტრავმის გამო ტოვებს, ვაშინგტონში პრესკონფერენცია გამართა და საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ გაილაშქრა. აქაოდა, ანონიმური მსაჯობა იმისთვის მოიგონეს, კიდევ უფრო ჩაეფლონ კორუფციის ჭაობშიო. არადა, რომ დაუფიქრდები, მართლაც ასეა. მსაჯობის ახლებური სისტემა მამაძაღლობის ალბათობას ოდნავაც ვერ ამცირებს, სამაგიეროდ, თუ რომელიმე მსაჯმა მიჰქარა, მისი გამოაშკარავება შეუძლებელი ხდება.

თუმც, ამ ჩემპიონატზე ოლიმპიური სკანდალი აღარ გამეორებულა. კი, მავან მოსრიალეთა შედეგების გამოცხადებისას ხალხს მსაჯთა მოქრთამვის სუნი ეცა, მაგრამ საჩემპიონო ბრძოლაზე ამას გავლენა არ მოუხდენია. გუშინწინ სრულიად დამსახურებულად ოქრო ჩინელებს, შენ ხუეს და ზაო ჰონგბოს მიართვეს, გუშინ კი კენტად მოსრიალე ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი, ასევე ალალად, რუსვი ევგენი პლუშჩენკო გახდა.

პლუშჩენკოს კიდევ მივუბრუნდებით, იქამდე კი ჩვენი ვახტანგ მურვანიძისა ვთქვათ. კვალიფიკაციის მერე ვახტანგი 40 მოსრიალეს შორის მე-17 იყო, მოკლე პროგრამაში ორიოდე შეცდომამ ორი ადგილით კიდევ დააქვეითა, გუშინ კი, თავისუფალი პროგრამისას, თბილისის დროით დილის ხუთ საათზე ორჯერ ისე წაიქცა, ლამის ყინული ჩატეხა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ საბოლოოდ 21-ე ადგილს დასჯერდა, არადა, ოცეულში კი უნდა ყოფილიყო.

ევგენი პლუშჩენკომ კი ეგრეც არ დათმო კვალიფიკაციის მერე მოპოვებული ლიდერობა და თავისუფალ პროგრამაში უნაკლოდ შესრულებული ხუთი სამმაგი ბრუნით და ორიც ოთხმაგითაც, ოქრო ჩაბღუჯა.

ექვსი სამმაგი ხტომა შეასრულა მეორეადგილოსანმა ამერიკელმა ტიმოთი გოებელმა, შვიდი კი მესამეზე გასულმა იაპონელმა ტაკეში ჰონდამ, მაგრამ ამათ ციბრუტობას პლუშჩენკოსეული პეწი აკლდა.

პლუშჩენკომ, ვინაც შარშანწინდელი მსოფლიოს ჩემპიონია, შარშან კი ტრავმებმა დარია ხელი, თქვა, ძალიან კი გამიჭირდა, მაგრამ შრომა დამიფასდაო.

რუსი, ამერიკელი და იაპონელი — მაგრამ პოდიუმზე შემდგართა თავს ზემოთ კანადის დროშაც ფრიალებდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჰონდა ხუთი წელია, კანადაში ცხოვრობს, სპორტსმენადაც იქ გაიზარდა და თავადვე მოითხოვა, ჩემს მეორე სამშობლოს ამაგს ნუ დავუკარგავთო.

გუშინვე ორიგინალურ პროგრამაში იცეკვეს წყვილებმა. არაფერი მომხდარა, ანუ კვალიფიკაციის შემდეგ განლაგება არ შეცვლილა. ლიდერობა ისევ ირინა ლობაჩოვასა და ილია ავერბუხს დარჩათ, მეორეზე კანადელები, შაე-ლიან ბურნი და ვიქტორ კრააცი არიან.

**თეიმურაზ უზაძოვი**

## ჭადრაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანანდს ფანდი ბრმად გაუვიდა

**მონტე-კარლოს** ტურნირი, რომელიც უფრო „ამბერის" სახელითაა ცნობილი გონიერი ინდუსის ვიშვანათან ანანდის ტრიუმფით დასრულდა. ინდომ წლეულს უკვე მეორე დიდი ტურნირი მოიგო. მანამდე მან ვეიკ-ანზეეს სუპერტურნირზეც იყოჩაღა. ისიც შესანიშნია, რომ ვიშის მონტე-კარლოში 1994 და 1997 წლებშიც მოუგია.

ტურნირის დებულების მიხედვით, დაფაზე დაუხედავ და სწრაფ ჭადრაკში მიღწეული შედეგები საერთო ჩათვლის ცხრილში დაჯამდა და გამარჯვებულიც აქედან დასახელდა. ანანდმა ცალკე ვერცერთი დისციპლინა მოიგო, მაგრამ 7 ქულით „თვალახვეულთა" ცხრილში მეორე-მესამე ადგილზე გავიდა, ბლიცში 7,5-ით მყარი მეორე საფეხური დაიჭირა და საერთო ჩათვლის ცხრილში 14,5 ქულით პირველ ადგილზე აღმოჩნდა. „ბრმათა" ცალკე ცხრილში პირველი ადგილი მსოფლიოს რუსმა ჩემპიონმა ვლადიმერ კრამნიკმა გამოიმუშავა, ხოლო სწრაფ ჭადრაკში პირველობა არავის დაუთმო, ასევე რუსმა ევგენი ბარეევმა.

დავუბრუნდეთ ჩემპიონს, ანანდმა გადამწყვეტ ბრძოლაში 1,5-0,5 აჯობა ახლო მდევარ ვესელინ ტოპალოვს. ბულგარელი დიდოსტატი ბოლო ტურში პირველეობის თეორიულ შანს ინარჩუნებდა და ანანდს მონდომებული დაუხვდა. ინდომ „ბრმა" პარტია კარგად ნაცადი E4-ით დაიწყო, რასაც ტოპალოვმა სიცილიური დაცვა შეაგება. ანანდმა დებიუტშივე ჩართო შეტევაში მხედრები, საკუთარი პაიკი მეტოქის მოედანზე D5 უჯრაზე გაამაგრა და ამით მარცხენა ფლანგზე იერიშის განვითარების საფუძველი გაიმზადა, რასაც ორივე მხედარი შესწირა. თამაშის ბედი ფაქტობრივად მე-14 სვლაზე გადაწყდა, როცა ტოპალოვმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და E5 უჯრაზე მდგარი პაიკი წინ წასწია. ანანდმა ერთი კარგად გადახედა ცარიელ დაფას, მეტოქეს აგრესიულად მიეძალა და ცენტრში უპირატესობაც მოიპოვა.

ინდუსის უპირატესობა კი იმდენად დიდი იყო, რომ ტოპალოვს მხოლოდ ყაიმზე ოცნება თუ შეეძლო. ბულგარელმა საბოლოოდ გაიბრძოლა და საკუთარი ლაზიერით მეტოქის მეფე აიძულა, სვლები მასთან ერთად გაემეორებინა, თუმცა ორი მცდელობით შეატყო რომ, ვერაფერს გახდებოდა და 43-ე სვლაზე მოწინააღმდეგეს გამარჯვება მიულოცა.

ამ გამარჯვებამ ინდოელს ტურნირი მოაგებინა. მისმა უშუალო კონკურენტებმა მოროზევიჩმა და ლეკომ ყაიმებით დაასრულეს თავიანთი პარტიები და პირველ ადგილზე გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგეს.

ანანდისა და ტოპალოვის ბლიცპარტია კი ფორმალობად ქცეულიყო, ამიტომ ორივე დიდოსტატი ყოველგვარი წვალების გარეშე, უკვე მეჩვიდმეტე სვლაზე შეთანხმდა ყაიმზე.

ბლიცპარტიებში ასევე აღსანიშნავია ბარეევისა და ივანჩუკის შეხვედრა, სადაც მეტოქეებმა ყაიმი თითქმის დებიუტში, მერვე სვლაზე გამოაცხადეს.

„ამბერის" ყველაზე დიდი იმედგაცრუება 1993 წელს ამ ტურნირის ტრიუმფატორის, სერბი ლუბოევიჩის წარუმატებლობა იყო. ვეტერანმა მოჭადრაკემ 22 თამაშიდან მხოლოდ ერთში იმარჯვა და საბოლოოდ 3,5 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა.

**ლუშა გეგეჭკორი**

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

# ვანკუვერის 100 ასიანი ნესლუნდია

27 მარტი

**კოლორადო 3:0 ლოს ანჯელესი** *2:0 1:0 0:0*

**1:0 ჰაინოტი (7), 2:0 ბლეიკი (9), 3:0 ტანგეი (22)**

კოლორადოს მეკარე პატრიკ რუა ცრუმორწმუნე ყოფილა, სჯერა, რომ თუ მატჩის წინ თავი შეიქო, ყველაფერი კარგად იქნება. ჰოდა, „წმინდა პატრიკმა", სანამ ყინულზე გავიდოდა, თქვა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, პარტნიორებიც ჩინებულად მეხმარებიან და მეც ყოველთვის კარგად ვხედავ შაიბასო. რას ვერჩით, აუხდა. კარი მშრალად შეინახა, თუმც ბევრი სამუშაო არც ჰქონია. პატრიკმა კარიერაში 66-ე შათაუტი და 547-ე მოგება მიითვალა. იგი ასით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ლეგენდარულ ტერი საუჩუკს.

**ტამპა 2:2 ნიუ ჯერსი** *1:1 0:1 1:0 0:0*

**0:1 ელიაში (3), 1:1 რიჩარდსი (5), 1:2 რიომი (26), 2:2 ლეკავალიე (55)**

ტამპას მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი კი ქათინაურებს მეტოქეებისგან იღებს. ეს მისთვის ზედიზედ მე-14 წაუგებელი მატჩი იყო და სწორედ თავისი ბრწყინვალე თამაშით ბოლო წუთებზე მასპინძლები მარცხისგან იხსნა. „არაფერია გასაკვირი. ხაბი დიდებული მეკარეა და არავის ჩამოუვარდება" — თქვა მატჩის შემდეგ ნიუჯერსელმა სკოტ ნადერმაიერმა.

**სენტ ლუისი 2:1 ფლორიდა** *0:0 0:0 2:1*

**1:0 ბოგუნიცკი (51), 1:1 შვიდკი (54), 2:1 უეიტი (60)**

„სიმართლე გითხრათ, იმ მომენტში მეგონა, რომ ჯერ კიდევ 15 წამი რჩებოდა და ძალიან გამიკვირდა, ტაბლოზე 2 წამი რომ დავინახე" — გაოცებული იყო სენტ ლუისის ლიდერი დუგ უეიტი, რომლის ზუსტმა დარტყმამ მატჩის მიწურულს მასპინძლებს გაამარჯვებინა. კიდევ კარგი, თორემ რომ სცოდნოდა, რამდენი წამი დარჩა, იქნებ აჩქარებულიყო და მომენტი ასე გონივრულად ვერც გამოეყენებინა.

**ფილადელფია 2:2 ბოსტონი** *0:0 1:2 1:0 0:0*

**1:0 ამონტე (21), 1:1 ბერარდი (26), 1:2 ბოინტონი (27), 2:2 ამონტე (54)**

**ჩიკაგო 4:1 ნეშვილი** *2:0 1:1 1:0*

**1:0 ნიკოლიშინი (10), 2:0 საიმონი (15), 2:1 უილმი (23), 3:1 ბელი (26), 4:1 სალივანი (47)**

კოლორადოსთან და აილენდერსთან განადგურების შემდეგ როგორც იქნა, ჩიკაგომაც იხეირა.

**კალგარი 2:1 დალასი** *1:1 0:0 0:0 1:0*

**0:1 დალინი (8), 1:1 ნიკოლი (19), 2:1 დონოვანი (63)**

**ვანკუვერი 5:1 ფინიქსი** *2:1 2:0 1:0*

**1:0 რუუტუ (8), 1:1 ჯონსონი (10), 2:1 კლეტი (19), 3:1 კუკი (23), 4:1 დ. სედინი (33), 5:1 ჟოვანოვსკი (55)**

მატჩის მიწურულს ვანკუვერის ლიდერმა მარკუს ნესლუნდმა ედ ჟოვანოვსკის საგოლე პასი რომ გადააწოდა, სეზონში პირველმა უწია 100-ქულიან ზღვარს. ქომაგები და პარტნიორები ამ მიღწევას ტაშით შეეგებნენ, მორიდებულმა შვედმა კი უმალ სათადარიგო სკამს მიაშურა. იგი, როგორც კაპიტანს შეეფერება, გუნდის წარმატებამ უფრო გაახარა — ამ მოგების შემდეგ ვანკუვერმა თავადაც გადალახა 100-ქულიანი ზღვარი.



REUTERS ვანკუვერიდან

**ფინიქსელმა მეკარემ ბრაიან ბუშემ ეს შაიბა ვერ მოიგერია და ვერც თანაგუნდელი პოლ რედჰაიმი (№18) დაეხმარა**

**სან ხოსე 3:0 დეტროიტი** *1:0 1:0 1:0*

**1:0 მარლო (10), 2:0 სმიტი (37), 3:0 ლაიონსი (59)**

„რა ცუდია, რომ დროის სხვაობის გამო მშობლებს ვერ დავურეკავ. ახლა ალბათ სძინავთ და ხვალ დავუკავშირდები" — ხარობდა სან ხოსეს ფინელი მეკარე მეკარე ვესა ტოსკალა. მან ხომ თვით დეტროიტი დატოვა მშრალზე და მწვრთნელებს დაუმტკიცა, რომ მეორე მეკარეობა მისთვის უფრო ალალია. საინტერესოა, რომ ევგენი ნაბოკოვის დუბლიორობისთვის ტოსკალას თანამემამულე მიიკა კიპრუსოვი ებრძვის.

**სამველ ლარიბიანი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 77 | 48 | 8 | 1 | 20 | 247:174 | 105 |
| ნიუ ჯერსი | 76 | 44 | 7 | 5 | 20 | 202:158 | 100 |
| ტამპა | 77 | 35 | 14 | 5 | 23 | 211:196 | 89 |
| ფილადელფია | 77 | 40 | 13 | 4 | 20 | 188:162 | 97 |
| ტორონტო | 77 | 40 | 7 | 3 | 27 | 221:197 | 90 |
| ვაშინგტონი | 77 | 36 | 8 | 5 | 28 | 209:206 | 85 |
| ბოსტონი | 77 | 35 | 9 | 4 | 29 | 231:223 | 83 |
| აილენდერსი | 76 | 34 | 10 | 2 | 30 | 214:209 | 80 |
| რეინჯერსი | 77 | 31 | 9 | 3 | 34 | 197:217 | 74 |
| მონრეალი | 77 | 28 | 8 | 9 | 32 | 194:221 | 73 |
| ფლორიდა | 78 | 23 | 12 | 9 | 34 | 169:226 | 67 |
| ატლანტა | 76 | 27 | 6 | 5 | 38 | 206:270 | 65 |
| ბუფალო | 76 | 24 | 9 | 8 | 35 | 172:201 | 65 |
| პიტსბურგი | 78 | 26 | 6 | 5 | 41 | 182:239 | 63 |
| კაროლინა | 77 | 22 | 11 | 6 | 38 | 166:224 | 61 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 78 | 42 | 15 | 4 | 17 | 234:165 | 103 |
| დეტროიტი | 77 | 45 | 9 | 3 | 20 | 247:190 | 102 |
| ვანკუვერი | 78 | 44 | 12 | 1 | 21 | 255:199 | 101 |
| სენტ ლუისი | 77 | 41 | 9 | 6 | 21 | 238:198 | 97 |
| კოლორადო | 77 | 38 | 13 | 8 | 18 | 230:182 | 97 |
| ანაჰაიმი | 78 | 38 | 9 | 5 | 26 | 194:185 | 90 |
| მინესოტა | 77 | 39 | 10 | 1 | 27 | 186:167 | 89 |
| ედმონტონი | 77 | 35 | 8 | 9 | 25 | 214:214 | 87 |
| ფინიქსი | 77 | 30 | 9 | 4 | 34 | 192:213 | 73 |
| ნეშვილი | 77 | 27 | 13 | 6 | 31 | 180:185 | 73 |
| ჩიკაგო | 77 | 28 | 11 | 5 | 33 | 188:209 | 72 |
| ლოს ანჯელესი | 77 | 30 | 6 | 5 | 36 | 189:207 | 71 |
| სან ხოსე | 77 | 28 | 6 | 8 | 35 | 202:224 | 70 |
| კალგარი | 77 | 27 | 12 | 4 | 34 | 174:215 | 70 |
| კოლუმბუსი | 76 | 27 | 7 | 3 | 39 | 196:242 | 64 |

მსხვილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები

ბომბარდირები: ნესლუნდი (ვანკუვერი) 100 (45+55); ფორსბერგი (კოლორადო) 97 (27+70); ტორნტონი (ბოსტონი) 95 (34+61); ბერტუცი (ვანკუვერი) 94 (46+48); ლემიე (პიტსბურგი) 89 (28+61); ჰეიდუკი (კოლორადო) 88 (43+45); მიურეი (ბოსტონი) 86 (41+45); დემიტრა (სენტ ლუისი) 85 (32+53); მოდანო (დალასი) 82 (28+54); პალფი (ლოს ანჯელესი) 78 (33+45); ჰიტლი (ატლანტა) 77 (36+41)

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური

## საქართველო — რუმინეთი

30 მარტი. თბილისი «ეროვნული» 15 საათი

# მე რომ თქვენთვის ხეზე ასვლა მესწავლებინა...

## რუმინელებამდე ბორჯღალოსნებმა მწვრთნელზე გაიწიეს

*ხვალ საქართველოს ნაკრები წლევანდელ ერთა თასს დაასრულებს, ბორჯღალოსნები მარადიულ მეტოქეს, რუმინეთს უმასპინძლებენ. ეს მატჩი წლევანდელი ტურნირის ფინალად ჩაითვლება, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, დღესვე დაკარგოს ინტრიგა. საქმე ისაა, რომ თუ დღეს შესუსტებული რუსეთი კრასნოდარში პორტუგალიას ვერ მოუგებს, ერთა თასს პორტუგალია დაეუფლება*

ერთა თასის დაკარგვის შემთხვევაში საქართველო და რუმინეთი მხოლოდ მათში საცილო „ანთიმოზ ივერიელის" თასისთვის და პრესტიჟისთვის იბრძოლებენ. ერთსაც შეგახსენებთ — თუ რუსეთი პორტუგალიას მოუგებს და ამასთან საქართველოს ნაკრებიც გაიმარჯვებს, მაშინ ჩვენებსაც და პორტუგალიელებსაც თანაბარი ქულები დაუგროვდებათ. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ ნაკრებს, რომელსაც გატანილ-გაშვებულ ქულებში უკეთესი სხვაობა ექნება. მანამდე კი საქართველოს ნაკრები სახვალიო მატჩისთვის განაგრძობს მზადებას და გუშინ საგურამოში სუსხიან და ქარიან ამინდში ივარჯიშა.

გინახავთ როგორ „ქოლავენ" შეგირდები მასწავლებელს? ამის ნახვა თუ გინდათ, აუცილებელი არაა ზანგური გეტოების ყოფაზე გადაღებულ ამერიკულ ფილმებს უყუროთ, საკმარისი იქნებოდა, საქართველოს ნაკრების გუშინდელ ვარჯიშს დასწრებოდით. ბორჯღალოსანთა „მსხვერპლი" მათი ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილი შეიქნა, რომელიც კუნთმაგარი მორაგბეების მუჯლუგუნებისგან კლოდ სორელმა „იხსნა". მაგრამ არ იფიქროთ, რომ ჩვენებმა თავიანთი მასწავლებელი გაიმეტეს. ეს ყველაფერი ხუმრობით და მეგობრულ ატმოსფეროში მოხდა.

რუდილის „გალახვა" მისივე სახალისო ვარჯიშებს მოჰყვა. მონპელიეს ფიზაღზრდის ინსტიტუტის კათედრის გამგემ, გასახურებლად ბორჯღალოსნები დააწყვილა და „კონტაქტში" ავარჯიშა. მორაგბეები ერთი ერთზე ეჯახებოდნენ ერთმანეთს, რასაც მერე დაჭიდება და ბოლოს ერთმანეთის „დატორვა" მოსდევდა. ამ ამბავში იყვნენ ბორჯღალოსნები, როცა ერთ-ერთმა მორაგბემ დაიყვირა, რუდილის დავცხოთო და მწვრთნელიც „ემზში" შესული გოლიათების ალყაში მოექცა. ეტყობა, რუდილი წინდახედული კაცია და შეგირდებისთვის ჯერ „ხეზე ასვლა" არ უსწავლებია. იგი სხარტი მოძრაობით მალევე დაუსხლტა მორაგბეებს, მერე კი „საშველად" თავის მეგობარ სორელს უხმო, რომელიც მოთელვას ყურადღებას არ აქცევდა, ბეტონის ფილაზე შესკუპებულიყო და ვეტერან ბორჯღალოსან ვანო ნადირაძეს ესაუბრებოდა.



ტიერი რუდილი გუშინ ბეწვზე გადაურჩა ბორჯღალოსნებს

ამ ამბავმა სორელი გვარიანად გაახალისა, მაგრამ მომღიმარი სახე მალე მკაცრმა გამომეტყველებამ შეცვალა — მოთელვის შემდეგ სორელმა ვარჯიში დაიწყო და დასრულებამდე მწვრთნელს სახეზე ნაკვთი არ შეტოკებია.

ბორჯღალოსანთა მწვრთნელი განსაკუთრებით მაშინ უწევდა ხმას, როცა მისი შეგირდები კომბინაციების დამუშავებისას ცდებოდნენ. გუშინდელი ვარჯიში სწორედ რამდენიმე კომბინაციის დამუშავებაში და სორელის ყვირილში გასრულდა. სანამ მორაგბეები მოედანზე ბუღრაობდნენ და საგურამოს სუსხიან ქარს ებრძოდნენ, დალილავებული რუდილი სპრინტებით იხურებდა გაყინულ სხეულს, ხოლო ნაკრების ექიმი ჟან ლუი სოლომონი მოედნის კიდესთან საცოდავად ატუზულ ძაღლებს აპურებდა.

გუშინ არ უვარჯიშია ბორჯღალოსანთა მორკინალ ვანო ნადირაძეს. მან მტკივანი მუხლი დაასვენა. ნადირაძე ხვალ აუცილებლად ითამაშებს, თანაც ძირითად შემადგენლობაში. სხვები ჯანზე არიან და გუშინ თავი არ დაუზოგავთ. გუშინვე საღამოს ჩვენები რუმინეთის ნაკრების თამაშთა ვიდეოფირებს ნახავდნენ და კარპატელთა ტაქტიკა-სტრატეგიას დეტალურად გაარჩევდნენ.

### საქართველო

**ძირითადი შემადგენლობა:** ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი გიორგაძე, ვასილ კაცაძე, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე; გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, ვანო ნადირაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გია ლაბაძე, გრეგუარ იაშვილი, ილია ზედგინიძე (კაპ)

**სათადარიგოები:** მევლუდ მთიულიშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ბადრი ხეხელაშვილი

### რუმინეთი

მარსელ სოსაციუ, კრისტიან სუანი (ორივე როვიგო, იტალია), მარიუს ტინკუ (პო, საფრანგეთი), პეტრისორ ტოდერაშკი, რომეო ჩირიაკი, კოსტიკა მერსოიუ, რაზვან სტანკა, ნიკოლაი კატალინი (ფარული, რუმინეთი), ბოგდან ბალანი, ალექსანდრუ ლუპუ, იოან ტეოდარესკუ (უნივერსიტატია, რუმინეთი), სილვიუ ფლორეა, მარიუს ბეჟამი, დანუც დუმბრავა (სტიაუა, რუმინეთი), ალინ პეტრიჩე (ბურგუნდი, საფრანგეთი), კრისტიან პეტრე, იონუც ტოფანი (მეტრო-რასინგი, საფრანგეთი), სორინ სოკოლი (ბრივი, საფრანგეთი), ოვიდიუ ტონიცა (ბიარიცი, საფრანგეთი), პეტრე მიტუ (გრენობლი, საფრანგეთი), რომეო გონტინიაკი (ორიაკი, რუმინეთი), ვალენტინ მაფტეი (ვალენსია, ესპანეთი), გაბრიელ ბრეზოიანუ (ბეგლ-ბორდო, საფრანგეთი), მიხაი ვიორიანუ (დუბლინი, ირლანდია)



ბერნარ შარეირი



ოქტავიან მორარიუ

*გუშინ შუადღის პირველი საათი სრულდებოდა, რუმინეთის ნაკრები ჩარტერული რეისით თბილისში რომ ჩამოფრინდა. აეროპორტის შენობა პირველმა „hello georgia"-ს მისალმებით რუმინელთა ლიდერმა და აღმოსავლეთ ევროპაში ალბათ საუკეთესო შერკინების გამთამაშებელმა პეტრე მიტუმ დატოვა. მიტუს კარპატელ მორაგბეთა ჯგუფი და ნაკრების უფროსობა მოჰყვა. რუმინელებმა სამშობლოდან პლასტმასის ბოთლებით საკუთარი ნაწარმოების მინერალური წყალი გამოიყოლეს, რომელთა ყუთზე ივერიელის სახელობის თასი უპატრონოდ იდო. ჩვენი საპატრიარქოს ნაკურთხევი ამ თასისადმი ასეთმა უდიერმა დამოკიდებულებამ იქ მყოფ ქართველებში რუმინელთა მიმართ გვარიანი ანტიპათია გამოიწვია.*

# საქართველოსთან თამაში კაზინოში თამაშივითაა

## რუმინელები გამარჯვებას ვერ გეგმავენ

აეროპორტიდან გამოსული სტუმრები ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ ავტობუსისკენ, რომელმაც ისინი რუმინეთის საელჩოს მიერ შერჩეულ სასტუმროში გააქანა. სასტუმროში დიდხანს არ გაჩერებულან, ისადილეს, ცოტა მოისვენეს და მოსათელად წავიდნენ. ნამგზავრი კარპატელები ერთ საათში მიბრუნდნენ სასტუმროში და მაშინვე ტელევიზორს მიუსხდნენ. მათი ფრანგი მწვრთნელი, „პატარა ნაპოლეონად" წოდებული და ნიცშეს ფილოსოფიის მოთაყვანე ბერნარ შარეირი რუმინეთი — რუსეთის თამაშებს არჩევდა შეგირდებთან ერთად და თითოეულს თავის შეცდომებზე მიუთითებდა. ამას ის ისე ემოციურად აკეთებდა, კაცი იფიქრებდა, აი ახლა დაახრჩობს რომელიმე მორაგბესო. სანამ შარეირი თავისიანებს „ატერორებდა", რუმინეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტს ოქტავიუ მორარიუს გავესაუბრეთ.

**— მგზავრობამ ხომ არ გადაგღალათ?**

— არა, ჩვენ სახელმწიფოს კუთვნილი ავიაკომპანია „ეარ რომანიას" თვითფრინავით ჩამოვფრინდით და კომფორტულად ვიმგზავრეთ.

**— როგორც ვიცით, „ეარ რომანია" თქვენი ერთ-ერთი სპონსორია...**

— დიახ, ეგრეა და კიდევ რამდენიმე სოლიდურ ფირმასთან გვაქვს კონტრაქტი, მათ შორის სუპერმარკეტების ქსელთან „კარფურთან", „სიტროენთან", „რომანია პეტროოილთან" და მედიკამენტების მწარმოებელ გერმანულ ფირმა „ფაიცერთან". „ფაიცერი" ისეთ ცნობილ პრეპარატს აწარმოებს, როგორიც „ვიაგრაა", მაგრამ ჩვენი მორაგბეები ამ პრეპარატს არ ღებულობენ, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ხუმრობას შევეშვათ და ყველაზე სერიოზული გარიგება ახლახან ბანკ „BRD"-სთან გავაფორმეთ. ეს ბანკი სოლიდური ფრანგული საფინანსო ჯგუფის „გრუპ სოსიეტე ჟენერალის" ფილიალია და წელიწადში ასი ათასი ამერიკული დოლარით დაგვაფინანსებს.

**— ასეთი თანხებით ამბიციებიც გაგეზრდებათ. ალბათ მარტო ერთა თასის მოგებას არ დასჯერდებით და ექვს ერში შეღწევაზეც იფიქრებთ.**

— ცხადია, მაგრამ ეს ხანგრძლივი და საკმაოდ შრომატევადი პროცესია. ექვს ერში ცხვირს არავინ შეგაყოფინებს, თუ სამ პირობას არ შეასრულებ. უნდა გქონდეს ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი, სტადიონი, რომელიც საერთაშორისო მატჩებს უმაღლეს დონეზე უმასპინძლებს და უნდა იყო ეკონომიკურად გამართული ქვეყანა. ჩვენ ეროვნული ჩემპიონატის აღორძინებით დავიწყეთ. მე ნაკრების პრეზიდენტი კი არ ვარ, არამედ ფედერაციის და მიმაჩნია, რომ შინა ჩემპიონატი განსაზღვრავს ნაკრების დონეს. ბედნიერი კაცი ვიქნები, თუ ნაკრების ძირითად ბირთვს მალე რუმინეთის ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები შეადგენენ. ჩვენ ეს მიზნად დავისახეთ.

**— სახელმწიფო გეხმარებათ?**

— გვეხმარება, მაგრამ ეს უმნიშვნელო თანხებია. რუმინეთში ნომერ პირველი სპორტის სახეობა ფეხბურთია. მერე მოდის ტანვარჯიში და ამის შემდეგ რაგბი. ჩემი მიზანია, რუმინეთში რაგბის კიდევ უფრო პოპულარიზაცია და ფეხბურთთან გატოლება.

**— რუმინეთის ნაკრების საშინაო მატჩებს საშუალოდ რამდენი გულშემატკივარი ესწრება?**

— გააჩნია, ვის და სად ვეთამაშებით. ბუქარესტში მაქსიმუმ ხუთი ათასი ქომაგი დადის სტადიონზე, ცხადია, თუ გრანდს არ ვეთამაშებით. დასწრების ასეთი დაბალი მაჩვენებელი იმის ბრალია, რომ ბუქარესტში ხალხი დღე და ღამ მუშაობს და რაგბისთვის არავის სცხელა. სხვა საქმეა იასი. იქ უფრო მოცლილი ხალხი ცხოვრობს. მათ ოღონდ გასართობი ანახე და არ დაგზარდებიან. შარშან იასიში ჩვენს და ესპანეთის მატჩზე თხუთმეტი ათასი ქომაგი მოვიდა.

**— მოდით, საქართველოსთან მატჩზე ვთქვათ. თქვენი პროგნოზი...**

— ძნელი სათქმელია, ვინ მოიგებს. იმედია, ლაღი და სანახაობრივი მატჩი იქნება.

**— აეროპორტში ანთიმოზ ივერიელის თასი წყლის ბოთლებზე უყურადღებოდ იდო. თქვენთვის უმნიშვნელოა ეს თასი (ამ კითხვაზე მორარიუ შეცბა)?**

— არა რას ამბობთ... ძალიან ვწუხდი, როცა საქართველოში მომქონდა.

**— რატომ, ხომ არ გეშინიათ, რომ აქ დარჩება?**

— იმედია, ისევ უკან წავიღებთ.

მორარიუსთან საუბარს აქ მოვრჩით. ცოტა ხანში შარეირიც გათავისუფლდა და ჩვენთვისაც მოიცალა. ცოტა არ იყოს, არაქათგამოცლილი ჩანდა. ხუმრობა ხომ არ არის, საათის მანძილზე არ ჩამოჯდე და მთელი ემოციები და ძალა ჩადო ერთი კონკრეტული მატჩის დეტალურად გარჩევაში...

**— დაღლილი ჩანხართ...**

— სხვანაირად არ შემიძლია, რაგბი ჩემი ცხოვრებაა, თუ ბოლომდე არ დაიხარჯე, ისე რა აზრი აქვს მუშაობას...

**— ყოველთვის ასეთი ემოციური ხართ თუ ასე მხოლოდ პრინციპული მატჩების წინ ხდება...**

— ცხოვრებაში მშვიდი პიროვნება ვარ, მაგრამ როცა ვმუშაობ, მკაცრი და მყვირალა ვხდები. ხუმრობაც ვიცი და გაბრაზებაც.

**— ალბათ მკაცრი ხასიათის გამო შეგარქვეს „პატარა ნაპოლეონი"?**

— შეიძლება. თანაც ფრანგი და ტანად დაბალი ვარ. ოღონდ დიქტატორი არ გეგონოთ, უბრალოდ დისციპლინა მიყვარს.

**— საინტერესოა როგორ წააგო რუმინეთის ნაკრებმა პორტუგალიასთან, თანაც წინ საქართველოს მაგალითი ჰქონდა?**

— ეგ მარცხი დღემდე ვერ დავივიწყე... სახიზღრად ვითამაშეთ, ძირითადი შემადგენლობას ხუთი მორაგბე გვაკლდა. ამასთან პორტუგალიასაც ყველაფერი გამოუვიდა.

**— მარტო ეს არის წაგების მიზეზი?**

— არა, ჩემებმა მეტოქე არ შეაფასეს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც.

**— ხვალ შეიძლება რუსეთმა პორტუგალიასთან ვერ მოიგოს — თქვენც და საქართველოს ნაკრებიც ერთა თასის მოგების შანს დაკარგავთ თუ ასე მოხდა თქვენიანები საქართველოსთან მატჩში მოტივაციას დაკარგავენ?**

— არავითარ შემთხვევაში. ვინც მოტივაციას დაკარგავს, ჩათვალოს, რომ ჩემს ხელში ნაკრებს ველარ ეღირსება.

**— ტრადიციული კითხვაა, მაგრამ მაინც. თქვენ როგორ აფასებთ შანსებს?**

— ეთამაშებოდე საქართველოს და თქვა, აუცილებლად გავიმარჯვებთო, ეს იგივეა, კაზინოში შესვლის წინ განაცხადო, დღეს დიდ ფულს მოვიგებ. ყველაფერს მატჩი გვიჩვენებს.

**— ოპტიმალურ შემადგენლობა ჩამოიყვანეთ?**

— სამწუხაროდ ვერა. ძირითადი შემადგენლობის შვიდი მორაგბე მაკლია. მართლია კვირას შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშებთ, მაგრამ ეს იქნება რუმინეთის კარგი ნაკრები.

**— გუნდში ძალიან ბევრი ისეთი მორაგბე გყავთ, რუმინეთის ჩემპიონატში რომ თამაშობს...**

— ჩვენ ამით ვამაყობთ კიდეც. თუ ლეგიონერი და რუმინეთის ჩემპიონატში მოთამაშე ერთ დონეზე არიან მომზადებული მაშინ არჩევანს „ადგილობრივზე" გავაკეთებ. ეს ჩვენი პოლიტიკაა, ამით რუმინეთის ჩემპიონატის დონეს ავწევთ.

**ბაჩო სვანიძე**




# ალი და დაიანა

შემხდარი და ულვაშიანი ალი შავ ამერიკელთა ერთ ცნობილ ღონისძიებაზე მისულა. იქ მისთვის და ასევე სახელოვან მომღერალ დაიანა როსისთვის საგანგებო ჯილდოები გადაუციათ, ვითარცა დიადი აფროამერიკელებისთვის.

# ყინულის პარალელურად

ვაშინგტონში ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. იაპონელმა ტაკეში ჰონდამ იმდენი მოახერხა ცეკვისას, რომ თუნდაც წამის მეასედით, მაგრამ ყინულის პარალელურად დაიჭირა სხეული.



REUTERS



REUTERS



# კატალონიის ტური

„შეწყვიტეთ ომი, ხალხი მოითხოვს", კატალონიურ ენაზე შედგენილი ამ ტრანსპარანტის ქვეშ გადიან კატალონიის ტურის მონაწილეველოსიპედისტები. ტურის მეოთხე ეტაპი პარეტს დელ ვალესა და კოლ დე პალს შორის 144-კილომეტრიან გზას მოიცავს. ლიდერი კი იტალიელი დარიო ფრიგო გახლავთ, რომელიც 4 საათით, 8 წუთითა და 2 წამით ჯერჯერობით საუკეთესოა.



# მწვრთნელის გვერდით

ძველი კინოვარსკვლავი, ბერტ რეინოლდსი (მარცხნივ) დიდი მოყვარულია ბეისბოლისა. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ თავისი საყვარელი გუნდის „სენტ ლუის კარდინალზის" მწვრთნელ ტონი ლა რუსას მოსჯდომია გვერდით კარდინალების „ნიუ იორკ მეთსთან" თამაშის დროს.

# შვიდკაცა ვირუსით

წლეულს სხვანაირი იერი აქვს მსოფლიოს ყველაზე ხალისიან შეჯიბრს, ჰონკონგის სარაგბო შვიდკაცას. აზიაში მოარულმა პნევმონიის იდუმალმა ვირუსმა იქ სკოლები დახურა და ათასი კაცი მოკლა. სამმა გუნდმა საერთოდაც უარი თქვა ჩასვლაზე. მაინც მხიარული და გამბედავი ფანები კი დამცავ სამოსში გამოწყობილან და ლუდს ასე ხვრეპენ.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge